F75 N 9525

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 39-ე წელი № 256 (11562) | კვირა, 1 ნოემბერი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესმა საბჭომ მოისმინა და განიხილა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ და ა დ გ ე ნ ს:

მოწონებულ იქნას მთლიანად და სავსებით საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1959 წლის 31 ოქტომბერი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა მსოფლიოს ყველა ქვეყნის პარლამენტებისადმი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო მიმართავს მსოფლიოს ყველა ქვეყნის პარლამენტებს საკითხზე, რომელსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს კაცობრიობისათვის.

საერთაშორისო ურთიერთობის განვითარება მეტისმეტად პასუხსაგებ სტადიაში შევიდა. ატომის, ელექტრონიკის და კოსმოსის დაპყრობის საუკუნემ დასახა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თვალუწვდენი, დიდებული პერსპექტივები. მაგრამ ამავე დროს კაცობრიობა აღმოჩნდა იმის რეალური საფრთხის წინაშე, რომ ამ დიად აღმოჩენებს გამოიყენებენ ადამიანთა განადგურებისა და მატერიალურ ფასეულობათა მოსპობის მიზნით.

უკვე ახლა შექმნილია უდიდესი მარაგი მოსპობის საშუალებებისა, რომლებსაც კოლოსალური დამანგრეველი ძალა აქვს. მაგრამ გამალებული შეიარაღება სულ უფრო იზრდება, თავის საშინელ მიმოქცევაში იზიდავს ახალ ქვეყნებს და სწოვს ხალხებს სასიცოცხლო წვენს. ჭეშმარიტად ფანტასტიკური სახსრები ხმარდება სიკვდილის იარაღის წარმოებას, მაშინ როცა მილიონობით ადამიანი, ბევრი ხალხი ჯერ კიდევ სიღატაკეში ცხოვრობს, მოკლებულია ადამიანის ღირსეულ ცხოვრების პირობებს. გამალებული შეიარაღება და „ცივი ომი“ ამაფეთქებენ სახელმწიფოთა ურთიერთობას, ქმნიან ხელოვნურ დაბრკოლებებს, ეღობებიან ხალხთა ურთიერთობას და ვაჭრობას ქვეყნებს შორის, აფერხებენ მათს ეკონომიურ განვითარებას.

გამალებული შეიარაღება ახალი ომის უფსკრულისაკენ მიაქანებს კაცობრიობას. როცა სახელმწიფოთა ურთიერთობაში ბატონობს ეჭვისა და მტრობის ატმოსფერო, როცა ერთმანეთის პირისპირ დგანან შეიარაღებული მრავალმილიონიანი არმიები, ხოლო ცას სერავენ ბომბდამშენები ატომური იარაღის ჭამაკვდინებელი ტვირთით, სულ პატარა არასწორ ნაბიჯს შეუძლია გამოიწვიოს კატასტროფა. მაშინ სულ რამდენიმე წუთში ატყდება ომი, რომელშიც არ იქნება განსხვავება ზურგსა და ფრონტს შორის, ჯარისკაცებსა და მშვიდობიან მოქალაქეებს შორის. ათასობით ქალაქისა და სოფლის, ფაბრიკისა და ქარხნის მოსპობა, ასეულ მილიონობით დაღუპული ადამიანის სიცოცხლე, კულტურის ფასდაუდებელი ძეგლების დაღუპვა — ასეთი იქნება გარდუვალი შედეგი, თუ ხალხები, პარლამენტები და მთავრობები ხელს ვერ შეუშლიან მოვლენათა ამ განვითარებას.

სად არის გამოსავალი? როგორ მოვუღოთ ბოლო შექმნილ მდგომარეობას, როგორ უზრუნველვყოთ ადამიანებისათვის მშვიდი, მშვიდობიანი ცხოვრება?

არის გადამწყვეტი საიმედო საშუალება გამოვრიცხოთ ომის ატეხის შეძლებლობა. ეს საშუალებაა სახელმწიფოთა საყოველთაო და სრული განიარაღება. როცა მოისპობა ომის წარმოების საშუალებანი, ყველა სახეობის იარაღი და დათხოვნილი იქნებიან არმიები, მაშინ და სწორედ ამით შეიქმნება პირობები ტკბილ მშვიდობისათვის მსოფლიოში, მშვიდობისათვის, როცა არ იქნება ომები და სისხლისღვრა.

საყოველთაო და სრული განიარაღება ყველა სახელმწიფოს თანაბარ მდგომარეობაში აყენებს. მას ზიანი არ მოაქვს არც ერთი ქვეყნისათვის, პირიქით, იგი უზრუნველყოფს ყველა ხალხის უშიშროებას. აღარ იქნება ეჭვი, რომ ღონისძიებებს შეიარაღების შემცირების დარგში შეუძლია სარგებლობა მოუტანოს ზოგ სახელმწიფოს სხვა სახელმწიფოთა საზარალოდ, ეჭვი, რომელიც წარმოიშობოდა, როცა საქმე ეხებოდა მხოლოდ ნაწილობრივ განიარაღებას. განიარაღების გზაზე აღარ იქნება კონტროლის სიძნელეები. თუ განიარაღება იქნება სრული და საყოველთაო, კონტროლიც ყოვლისმომცველი და სრული იქნება.

საყოველთაო და სრული განიარაღება დასაწყისს მისცემს ჭეშმარიტად ახალ ეტაპს საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიაში. სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა მტკიცედ იქნება უზრუნველყოფილი. ყველა სახელმწიფო კეთილი მეზობლებივით იცხოვრებს. დაისახება ახალი შესაძლებლობანი ქვეყნებსა და ხალხებს შორის ეკონომიური, კულტურული და სავაჭრო ურთიერთობის განვითარებისათვის. დღეს გადაუჭრელად გვიჩვენება ბევრი საერთაშორისო საკითხი. მაგრამ საკმარისია შევწყვიტოთ გამალებული შეიარაღება, დავითხოვოთ არმიები, რომ მაშინვე გაჩნდება ამ საკითხების მოწესრიგების ახალი შესაძლებლობანი და გზები.

განთავისუფლდება უდიდესი მატერიალური და ფინანსური სახსრები, რომლებიც დღეს შეიარაღებას ხმარდება. რამდენი სახლი, სკოლა, საავადმყოფო, რამდენი ქარხანა, ელექტროსადგური, კაშხალი, გზა შეიძლება აშენდეს ამ სახსრებით! მკვეთრად შემცირდება გადასახადები, რომლებიც ახლა მუშათა და გლეხთა შემოსავლის სულ უფრო მზარდ ნაწილს ნთქამენ. უსაზღვრო შესაძლებლობანი დაისახება გრანდიოზული, მეცნიერული და ტექნიკური პროექტების განსახორციელებლად, მეცნიერები და სპეციალისტები მიიღებენ შესაძლებლობას ემსახურონ მხოლოდ მშვიდობასა და აყვავებას.

საყოველთაო და სრული განიარაღება ახალ ფურცელს გადაშლის ეკონომიურად სუსტადგანვითარებული ქვეყნების განვითარების ისტორიაში. ამ ქვეყნების ეკონომიური განვითარება ახლა მეტად ნელა მიმდინარეობს. მილიონობით ადამიანი აზიაში, აფრიკაში ლათინურ ამერიკაში ჯერ კიდევ მშიერი და ნახევრადმშიერია. განიარაღება გაათავისუფლებს უდიდეს მატერიალურ და ფინანსურ სახსრებს და ხელს შეუწყობს ამ უსამართლობის აღმოფხვრას, დააჩქარებს სუსტადგანვითარებული და კოლონიური ქვეყნების საუკუნეობრივი ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის პროცესს, შექმნის სახსრების ახალ წყაროს ამ ქვეყნებისადმი ეკონომიური დახმარებისათვის.

შეიძლება თუ არა მივაღწიოთ საყოველთაო და სრულ განიარაღებას თანამედროვე ეტაპზე? უტოპია ხომ არ არის ეს?

არა, ჩვენს დროში ეს უტოპია არ არის. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ ამ მიზნის მიღწევა სავსებით შესაძლებელია. თუ რამდენიმე ათეული წლის წინათ ჯერ კიდევ არ იყო საკმაო ძალები და სახსრები სრული და საყოველთაო განიარაღების იდეის განსახორციელებლად, ახლა ეს იდეა ადამიანთა უდიდესი მასების, მთელი ხალხებისა და ერების დროშა გახდა. ახლა არის ისეთი სახელმწიფოთა დიდი ჯგუფი, რომელნიც თანმიმდევრულად იბრძვიან მისი განხორციელებისათვის.

განიარაღების პრობლემის გადაჭრა ადამიანთა ხელშია. ადამიანმა შექმნა გამანადგურებელი იარაღი. მას შეუძლია მოსპოს და კიდევაც უნდა მოსპოს იგი.

თანამედროვეობის ამ ყველაზე გადაუდებელი საკითხის გადაჭრის პერსპექტივები მით უფრო ხელსაყრელია, რომ უკანასკნელ ხანს საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებაში გაუმჯობესება დაისახა. იმის გაგება, რომ უაზრო და საშიშია შემდგომი გამალებული შეიარაღება, სწვდება მოსახლეობის სულ უფრო ფართო ფენების, პარლამენტთა წევრების, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეთა შეგნებას. ყველგან ძლიერდება მისწრაფება ბოლო მოუღონ „ცივ ომს“, სადავო საერთაშორისო საკითხები გადაჭრან ძალის გამოუყენებლად, მოლაპარაკებისა და შეთანხმების საფუძველზე.

საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში თვალსაჩინო როლი შეასრულა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტმა ამერიკის შეერთებულ შტატებში და მისმა შეხვედრებმა პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერთან.

კაცობრიობის წინაშე ისახება რეალური შესაძლებლობა, რომ საერთაშორისო ურთიერთობის განვითარება წარიმართოს ახალი გზით: ბოლო მოეღოს გამალებულ შეიარაღებას, მოლაპარაკების მეთოდი გადაიქცეს საერთაშორისო საკითხთა გადაჭრის ერთადერთ მეთოდად.

ახლა ყველაფერი დამოკიდებულია ხალხთა ნებასა და სიმტკიცეზე.

ამასთან განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ პარლამენტებს, მთავრობებსა და სახელმწიფო მოღვაწეებს. ხალხები, ამომრჩევლები პარლამენტებისაგან მოელიან, რომ ისინი იტყვიან თავიანთ სიტყვას. სწორედ პარლამენტებმა და მთავრობებმა უნდა ეძიონ ბეჯითად, მიზანსწრაფულად სადავო საერთაშორისო საკითხებისა და უწინარეს ყოვლისა ჩვენი დროის ყველაზე მწვავე პრობლემის — განიარაღების პრობლემის გადაჭრის გზები.

არ არსებობს ისეთი პოლიტიკური, ეკონომიური ან სხვა მიზეზები, რომლებიც ამართლებდნენ გამალებული შეიარაღების განგრძობას. განიარაღებას მხოლოდ ის წრეები ეწინააღმდეგებიან, რომლებიც პირველ პლანზე თავიანთ ანგარებითს ინტერესებს აყენებენ, რომლებისთვისაც უცხოა ხალხების იმედი და მისწრაფება. მაგრამ ამ წრეების წინააღმდეგობა შეიძლება დაძლეულ იქნას. კაცობრიობის სასიცოცხლო ინტერესები მტკიცედ მოითხოვენ, რომ ეს წინააღმდეგობა გადაილახოს.

არის საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემის გადაჭრის რეალური გზები. ეს გზები ნაჩვენებია საბჭოთა მთავრობის წინადადებებში, რომლებიც შეტანილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განსახილველად. ახლა სხვა ქვეყნების, პირველ რიგში უდიდესი სახელმწიფოების მთავრობებსა და პარლამენტებზე, მათს კეთილ ნებასა და სურვილებზე უშუალოდ დამოკიდებულია, შეწყდება თუ არა სიკვდილისა და ნგრევის იარაღის წარმოება და მოისპობა თუ არა იარაღის დაგროვებული მარაგი, დამღუპველი ომის გზით წავა კაცობრიობა, თუ მშვიდობიანი განვითარების გზას დაადგება.

რაც შეეხება სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, საბჭოთა კავშირის მთავრობას, ისინი, ასრულებენ რა საბჭოთა ხალხის ნებას, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა გადაჭრან განიარაღების პრობლემა, მტკიცე მშვიდობად გადააქციონ საერთაშორისო დაძაბულობის მიღწეული შენელება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, სავსებით იწონებს რა საბჭოთა მთავრობის მშვიდობიან ინიციატივას, რომელმაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განსახილველად შეიტანა საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამა, გამოთქვამს რწმენას, რომ საბჭოთა მთავრობის კეთილშობილურ ინიციატივას გაიგებენ და მხარს დაუჭერენ სხვა ქვეყნების პარლამენტები და მთავრობები.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს იმედი აქვს, რომ ყველა ქვეყნის პარლამენტები და პარლამენტარები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა იხსნან ხალხები საშინელი უბედურებისაგან — გამალებული შეიარაღებისაგან, მიაღწიონ განიარაღებას და სამარადისო მშვიდობის გზა გაუკაფონ მთელ კაცობრიობას.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო.

მოსკოვი, კრემლი 1959 წ. 31 ოქტომბერი.

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს III სესიაზე 1959 წლის 31 ოქტომბერს

ამხანაგო დეპუტატებო!

კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დამავალეს გამოვიდე თქვენს წინაშე საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე.

საბჭოთა კავშირის მთავრობა, რომელიც ხელმძღვანელობს ლენინური მშვიდობისმოყვარული პოლიტიკით, პარტიის XX და XXI ყრილობების გადწყვეტილებებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დირექტივებით, თანმიმდევრულად და მტკიცედ ახორციელებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და „ცივი ომის“ ლიკვიდაციის, სახელმწიფოთა ურთიერთობის გაუმჯობესების კურსს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებისათვის.

კმაყოფილების გრძნობით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების, აგრეთვე მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ღონისძიებათა მეოხებით უკანასკნელი პერიოდი აღინიშნა საერთაშორისო ვითარების მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით. მთავარი ის არის, რომ დაძაბულობა სახელმწიფოთა ურთიერთობაში მნიშვნელოვნად შენელდა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების პერსპექტივები უფრო ხელსაყრელი გახდა. სულ ცოტა ხნის წინათ კი „ცივი ომით“ წარმოშობილ ვნებათა დაძაბვამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ პატარა ნაპერწკალსაც შეეძლო გამოეწვია მსოფლიო ხანძარი. დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფოს საგარეოპოლიტიკურ ხაზს საფუძვლად ედო აშკარად აგრესიული ვარაუდი, „ძალის პოზიციის“ პოლიტიკა. ასეთი ხაზის შთამაგონებლებს სურდათ თავიანთი ნება მოეხვიათ თავს მშვიდობისმოყვარე ხალხებისათვის, ძალის დახმარებით გადაეჭრათ საერთაშორისო პრობლემები.

საერთაშორისო საქმეებისადმი ასეთ მიდგომას ხან „განთავისუფლების პოლიტიკას“ უწოდებდნენ, ხან „უკუგდების პოლიტიკას“ ან „გაძევების პოლიტიკას“, მაგრამ არსი უცვლელი რჩებოდა. თუ „გავათავისუფლებთ“ რაიმესაგან იმათ, ვინც არ თხოულობს და არა სურს ამგვარი „განთავისუფლება“, ეს ხომ ნიშნავს ძალით მოვახვიოთ თავს სხვებს საკუთარი წესრიგი. არც ერთ ხალხს არ უთხოვია და არასოდეს არ ითხოვს, რომ ბატონმა კაპიტალისტებმა იგი „გაათავისუფლონ“ სოციალისტური წყობილებისაგან, რომლის უპირატესობა და სიკეთე მან უკვე გაიგო, და დაუბრუნონ კაპიტალისტური ექსპლოატაციის წყობილებას.

არც ერთ ხალხს, რომელმაც მოიპოვა კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან განთავისუფლება, ჯერ არასოდეს არ გამოუთქვამს სურვილი, რომ იგი „გაათავისუფლონ“ ქარხნებისა და ფაბრიკებისაგან, იმის უფლებისაგან, რომ თვითონ განაგებდეს თავის სახელმწიფოს მთელ სიმდიდრეს, იმის უფლებისაგან, რომ ცხოვრებას აწყობდეს ისე, როგორც ეს მას სურს. არც ერთ თავისუფალ ხალხს ჯერ არასოდეს არ გამოუთქვამს სურვილი, რომ მის სიცოცხლეს განაგებდნენ ერთი მუჭა ის პირნი, ვინც მას ძარცვავს, ითვისებს ხალხის შრომის ნაყოფს. მაგრამ, როგორც ჩანს, ამის გაგება არა სურთ იმ ადამიანებს, რომლებიც მთელ რიგ ქვეყნებში ჯერ კიდევ ცხოვრობენ ხალხის ექსპლოატაციით.



როცა ასეთი ადამიანები ლაპარაკობდნენ „გაძევებაზე“ ან „უკუგდებაზე“, საქმე იმას კი არ ეხებოდა, რომ ზრდილობიანი სიტყვებით ეთხოვათ ვისმესთვის შევიწროებულიყო, ადგილი დაეთმო. მხედველობაში ჰქონდათ პირდაპირი სამხედრო ჩარევა სოციალისტურ და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა საქმეებში. აქედან გამომდინარეობდა განუწყვეტელი გამალებული შეიარაღების კურსი, „ატომური უპირატესობის“ შექმნის ილუზორული ვარაუდები და სხვ. ეს ასეთი ხაზის მომხრეთა ტერმინოლოგიაშიც აისახა. ისინი ლაპარაკობდნენ „ომის ზღვარზე პოლიტიკის“ შესახებ, „მასირებული შურისგების“ შესახებ და სხვ. საქმე მიდიოდა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ „პრევენტიული“ ომის პირდაპირ მუქარამდე.

ახლა დროება შეიცვალა. „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის ზოგიერთი აქტიური გამტარებელიც კი ხედავს მის უპერსპექტივობას. დასავლეთის მხოლოდ ყველაზე აგრესიულად განწყობილ მოღვაწეებს ვერაფრით ვერ აუღიათ ხელი ძველ ფორმულებზე. ძველის გამოხმაურება ჯერ კიდევ გაისმის აქა-იქ. ავიღოთ, მაგალითად, ამერიკის კონგრესის ავადსახსენებელი გადაწყვეტილება მოეწყოთ ეგრეთწოდებული „კომუნიზმის მიერ დამონებული ხალხების“ კვირეული და ელოცათ მათი განთავისუფლებისათვის. აქ სხვა სიტყვებია, ვიდრე „უკუგდება“, მაგრამ არსი იგივეა, იგივე მოწოდებაა სხვის საქმეებში ჩარევისაკენ.

როგორც ხედავთ, საქმემ წინ წაიწია „უკუგდების“ პოლიტიკიდან ლოცვამდე ღვთის წინაშე. მაგრამ რა შეიძლება მოჰყვეს ამას? თუ დასავლეთის ქვეყნების მოღვაწეები შეეევედრებიან ღმერთს სოციალისტური ქვეყნების ხალხების „განთავისუფლებას“, ხოლო ჩვენ, ჩვენი მხრივ, შევევედრებით ღმერთს, რომ მან გაათავისუფლოს მათი ხალხები კაპიტალისტური ბატონობისაგან, ამით ჩვენ ღმერთს მძიმე პირობებში ჩავაყენებთ. **(მხიარული გამოცოცხლება დარბაზში).** რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მაშინ მან? ცხადია, რომ, თუ იგი ადამიანთა უმრავლესობის მხარეზე დადგება და დემოკრატიულ პოზიციას დაიკავებს, გადაწყვეტილება ჩვენს სასარგებლოდ, სოციალიზმის სასარგებლოდ იქნება! **(გამოცოცხლება დარბაზში. ტაში).** მაგრამ ეს, ასე ვთქვათ, ერთგვარი გადახვევაა მოხსენების არსიდან.

ამჟამად დასავლეთში იმარჯვებს ვითარების უფრო საღი შეფასება, საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი ძალთა თანაფარდობის უფრო გონივრული გაგება. ასეთი გაგება კი გარდუვალად იწვევს დასკვნას, რომ სოციალისტური სამყაროს წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების ვარაუდები არქივს უნდა ჩაბარდეს. თვით ცხოვრება მოითხოვს, რომ სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის სახელმწიფოებმა შეძლონ ერთად ცხოვრება ჩვენს პლანეტაზე, მშვიდობიანი თანაარსებობა.

რა არის ძირითადი მიზეზები ცვლილებებისა საერთაშორისო ვითარებაში ამ ბოლო დროს?

ძირითადი მიზეზია საბჭოთა კავშირის, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ყველა ქვეყნის ძლიერებისა და საერთაშორისო გავლენის ზრდა. კაცობრიობის ბედნიერება ის არის, რომ დიდ მეცნიერულ აღმოჩენათა და ტექნიკურ მიღწევათა ჩვენს დროში მსოფლიოში შეიქმნა და სწრაფად ვითარდება სოციალისტური სისტემა, ხოლო სოციალიზმისათვის ორგანულად დამახასიათებელია მშვიდობისადმი მისწრაფება. და რაც უფრო სწრაფად იზრდებიან სოციალისტური ქვეყნების ძალები, მით უფრო მეტია მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების შესაძლებლობა.

ამასთან ერთად საერთაშორისო ასპარეზზე სულ უფრო დიდ როლს ასრულებენ კოლონიური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებული ქვეყნები, აგრეთვე სხვა ქვეყნები, რომლებიც სასიცოცხლოდ არიან დაინტერესებულნი მშვიდობის დაცვით და იმით, რომ არ იქნას დაშვებული ახალი ომები. ჩვენს დროში არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს დედამიწის ყველა კონტინენტზე მდებარე ამ ქვეყნების ხმას.

თვით კაპიტალისტურ ქვეყნებში ამ ბოლო დროს სულ უფრო მზარდ გავლენას ახდენენ მშვიდობისმოყვარე ძალები, რომლებიც მოითხოვენ „ცივი ომის“ ლიკვიდაციას, სახელმწიფოთა მშვიდობიან თანამშრომლობას.

ბოლოს, სულ უფრო ფართო წრეებს, მათ შორის კაპიტალისტური ქვეყნების ბევრს სახელმწიფო მოღვაწესაც, ესმით, რომ თანამედროვე პირობებში ატომური და რაკეტული იარაღის არსებობის დროს ომი იმუქრება უმაგალითო მსხვერპლითა და ნგრევით და უწინარეს ყოვლისა იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც გაბედავენ ახალი მსოფლიო ომის გაჩაღებას.

მშვიდობიანი თანაარსებობა ცხოვრების მტკიცე მოთხოვნაა

საბჭოთა კავშირმა, ყველა სოციალისტურმა ქვეყანამ თავიანთი მშვიდობისმოყვარული პოლიტიკით კაცობრიობას დაუსახეს გზა საზოგადოების განვითარებისა უომოდ, მშვიდობიანი თანამშრომლობის საფუძვლებზე.

ჩვენს დროში მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის სულ უფრო ნათელი ხდება უდიდესი მნიშვნელობა დიდი ლენინის ბრძნული იდეისა მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ.

მსოფლიო ასპარეზზე ძალთა ახლანდელი თანაფარდობისა და იმ დონის პირობებში, რომელსაც სამხედრო ტექნიკამ მიაღწია, არავის აღარ შეუძლია რეალობის გრძნობის დაუკარგავად წამოაყენოს სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობის განვითარების სხვა გზა, გარდა მშვიდობიანი თანაარსებობისა.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე).

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გაგრძელება

ხშირად გაისმის დასავლეთის ქვეყნების მოღვაწეთა მსჯელობა იმის შესახებ, „მიიღონ“ თუ „არ მიიღონ“ წინადადება მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ, რომელსაც საბჭოთა კავშირი სთავაზობს. მე ვფიქრობ, ასეთი მსჯელობა მოწმობს იმას, რომ არ ესმით საკითხის არსი. საქმე ის არის, რომ ჩვენს დროში მშვიდობიანი თანაარსებობა რეალური ფაქტია და არა ვისიმე თხოვნა ან სურვილი. ეს ობიექტური აუცილებლობაა, რომელიც გამომდინარეობს მსოფლიოში ამჟამად არსებული მდგომარეობიდან, ადამიანთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპიდან. ამჟამად დედამიწაზე არსებულ ორივე მთავარ საზოგადოებრივ სისტემას აქვს შეიარაღება, რომელიც დამღუპველ შედეგებს გამოიწვევდა, თუ კი მას ამმოქმედებდნენ. ვინც ამჟამად აცხადებს, რომ არ ცნობს მშვიდობიან თანაარსებობას და მის წინააღმდეგ პოლემიკას ეწევა, იგი ფაქტიურად ომის მომხრეა.

ახლა საკითხი ის კი არ არის, უნდა იყოს თუ არა მშვიდობიანი თანაარსებობა, — იგი არის და იქნება, თუ ჩვენ არა გვსურს მსოფლიო ატომურ-რაკეტული ომის უგუნურება. საქმე ის არის, რომ თანაარსებობა იყოს გონივრულ საფუძველზე. არ შეიძლება გონივრულად მივიჩნიოთ, რომ სახელმწიფოები ცხოვრობენ ისეთ პირობებში, როცა, თუმცა ომი არ არის, მაგრამ ზარბაზნები და რაკეტები განუწყვეტლივ მომარჯვებულია, როცა საჰხედრო თვითმფრინავები განუწყვეტლივ სერავენ საჰაერო სივრცეს და თან აქვთ ატომური და წყალბადის ბომბები. ეს თვითმფრინავები ხომ არა მარტო დაფრინავენ, არამედ დროდადრო ეცემიან დედამიწაზე თავიანთი მომაკვდინებელი ტვირთით სხვადასხვა კატასტროფის შედეგად. ამერიკის შეერთებულ შტატებში რამდენიმე ასეთი შემთხვევა იყო. უკვე თვით ფაქტი, რომ ხდება ასეთი შემთხვევები, მოწმობს, თუ რამდენად საშიშია ასეთი იარაღის დაგროვება და მასთან თამაში.

საბჭოთა მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი ემყარებიან ლენინურ დებულებას სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა თანაარსებობის შესახებ და ყველაფერს აკეთებენ დედამიწაზე მტკიცე მშვიდობის უზრუნველსაყოფად. საჭიროა, რომ ადამიანები, დასაძინებლად როცა წვებიან, არ ფიქრობდნენ, რომ ეს მათი უკანასკნელი მშვიდობიანი ღამეა, რომ ყოველ წუთს შეიძლება დაიწყოს სამხედრო კატასტროფა. ჩვენ გვსურს მშვიდობიანი თანაარსებობა გონივრულ საფუძველზე, რომ ამ მიმართულებით მუშაობდნენ სახელმწიფო ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომ იქმნებოდეს ხალხთა თანამშრომლობის პირობები. ამ თანამშრომლობას საფუძვლად უნდა დაედოს პრინციპი, რომლის თანახმად ყოველი ქვეყანა თავისათვის ირჩევს და მეზობლისაგან გადმოაქვს ის, რაც თვითონ მიაჩნია საჭიროდ, თავს მოუხვევლად. თანაარსებობა მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ნამდვილად მშვიდობიანი და კეთილმეზობლური.

რა თქმა უნდა, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა ასეთი თანაარსებობა გულისხმობს, რომ მათ ორმხრივი დათმობა უნდა გააკეთონ მშვიდობის ინტერესებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ აქ საჭიროა რეალისტური მიდგომა, საქმის ნამდვილი მდგომარეობის საღი შეფასება, ურთიერთგაგება და ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინება. ეს პრინციპული და ამასთან მოქნილი პოზიციაა მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

სხვადასხვა სისტემის არსებობის აღიარება, თვითეული ხალხის იმ უფლების აღიარება, რომ დამოუკიდებლად წყვეტდეს თავისი ქვეყნის ყველა პოლიტიკურ და სოციალურ საკითხს, სუვერენიტეტის პატივისცემა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის დაცვა, ყველა საერთაშორისო საკითხის გადაჭრა მოლაპარაკების გზით — აი რას გულისხმობს თანაარსებობა გონივრულ საფუძველზე.

მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები კარგად იყო ჩამოყალიბებული ბანდუნგის კონფერენციაზე, ხოლო შემდეგ ასევე მოწონებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ. თუ პირდაპირ ვიტყვით, მშვიდობიანი თანაარსებობის დროს სახელმწიფოები ანგარიშს უნდა უწევდნენ ერთმანეთს მშვიდობის ინტერესებისათვის.

სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა თვით მშვიდობიანი თანაარსებობა გულისხმობს ურთიერთ დათმობათა ელემენტებს, ინტერესების ურთიერთ გათვალისწინებას, რადგან სხვანაირად არ შეიძლება დამყარდეს ნორმალური ურთიერთობა სახელმწიფოთა შორის.

იდეოლოგიის საკითხებში ჩვენ მტკიცედ ვიდექით და კვლავაც ვიდგებით, როგორც კლდე, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე. იდეოლოგიური საკითხები არ შეიძლება ძალით გადაიჭრას, არ შეიძლება ერთ სახელმწიფოში გაბატონებული იდეოლოგია თავს მოვახვიოთ სხვა სახელმწიფოს. არც ერთ საღად მოაზროვნე ადამიანს არასოდეს არ უთქვამს, რომ იდეოლოგიური დავა ან ამა თუ იმ ქვეყნის სახელმწიფო წყობილების საკითხები უნდა გადაიჭრას ომით.

კაპიტალისტებს არ მოსწონთ სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილება, მათთვის უცხოა ჩვენი იდეოლოგია, ჩვენი მსოფლმხედველობა. ამდენადვე ჩვენ, სოციალისტურ სახელმწიფოთა მოქალაქეებს, არ მოგვწონს კაპიტალისტური წესწყობილება და ბურჟუაზიული იდეოლოგია. მაგრამ ჩვენთვის საჭიროა ვიცხოვროთ მშვიდობით, გადავჭრათ წამოჭრილი საერთაშორისო საკითხები მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით. აქედან გამომდინარეობს ურთიერთ დათმობათა საჭიროება.

რა თქმა უნდა, არც ერთი, არც მეორე მხარე არ წავა დათმობაზე ძირეულ სოციალურ, იდეოლოგიურ საკითხებში, რომლებიც მათ თიშავენ. საქმე ეხება სხვაგვარ დათმობას. მაგალითად, ჩვენში ჩამოდიან კაპიტალისტურ სახელმწიფოთა წარმომადგენლები, რომლებიც, გამოდიან რა ჩვენში, გამოთქვამენ თავიანთ შეხედულებებს. ჩვენ ყოველთვის და ყველაფერში როდი ვეთანხმებით მათ, მაგრამ შემწყნარებლურად ვეკიდებით ასეთ განცხადებებს. კაპიტალისტურ ქვეყნებში ყოფნის დროს ჩვენც გამოვდივართ იქ და აშკარად გამოვთქვამთ ჩვენს შეხედულებებს, და იქ, ალბათ, აგრეთვე იჩენენ შემწყნარებლობას.

სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი ნიშნავს საშინაო საქმეებში ჩაურევლობას, ურთიერთ დათმობის, კომპრომისების საჭიროებას, თუ გნებავთ, ორივე მხარის შეგუებას სახელმწიფოთა ურთიერთობის დარგში მომწიფებული პრაქტიკული საკითხების გადაჭრის დროს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ინტერესებისათვის. ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ მუშათა კლასს როგორც ხელისუფლების დაპყრობამდე, ისე მის შემდეგ უნდა შეეძლოს განახორციელოს მოქნილი პოლიტიკა, წავიდეს კომპრომისებზე, შეთანხმებებზე, როცა ამას მოითხოვს ცხოვრება, მოითხოვს საქმის ინტერესები.

რას ნიშნავს ეს თანამედროვე პირობების შესაბამისად? ავიღოთ, მაგალითად, განიარაღების პრობლემა. საბჭოთა მთავრობამ შეიტანა წინადადება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ წინადადების განხორციელება უზრუნველყოფს მშვიდობას ყველა ხალხისათვის. მაგრამ ჩვენ მზად ვართ განვიხილოთ სხვა წინადადებებიც განიარაღების პრობლემის ურთიერთმისაღები გადაწყვეტის მიღწევის ინტერესებისათვის. ეს იმის კონკრეტული მაგალითია, რომ ჩვენ მზად ვართ წავიდეთ დათმობაზე, როცა ჯერ კიდევ არ არის შესაძლებლობა გადაიჭრას პრობლემა მთლიანად, ესე იგი გაკეთდეს ისე, როგორც ჩვენ მიგვაჩნია ყველაზე სწორად.

მეორე მხრივ, კაპიტალისტურ სახელმწიფოებშიც მიდიან გარკვეულ დათმობებზე. ცნობილია, მაგალითად, რომ მათ ცხეს ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო, ხოლო შემდეგ მეტი წილი სხვა სოციალისტური ქვეყნებიც, თუმცა მმართველი კაპიტალისტური წრეები სოციალიზმის მოწინააღმდეგენი არიან. მათ დიპლომატიური ურთიერთობა აქვთ სოციალისტურ ქვეყნებთან, მოლაპარაკებას აწარმოებენ მათთან, ერთობლივად მონაწილეობენ და განიხილავენ საერთაშორისო საკითხებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ეს, რა თქმა უნდა, აგრეთვე დათმობაა, თუ გნებავთ, შეგუებაა კაპიტალისტური სახელმწიფოების მხრივ, რომლებიც იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ მსოფლიო სოციალისტური სისტემის ქვეყნების არსებობისა და განვითარების რეალურ ფაქტს.

როცა ჩვენ ვლაპარაკობთ სოციალისტურ და კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობაზე, მხედველობაში გვაქვს, რომ როგორც ერთი, ისე მეორე სახელმწიფოები არ ერევიან ერთმანეთის საშინაო საქმეებში. მხოლოდ ასეთ გონივრულ საფუძველზე შესაძლებელია მშვიდობიანი თანაარსებობა.

ჩვენს დროში სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობის პრაქტიკაში გვხვდება და კვლავაც შეგვხვდება ბევრი საკითხი, რომლებზეც საჭიროა დავუთმოთ ერთმანეთს, მივაღწიოთ შეთანხმებას ურთიერთ მისაღებ საფუძველზე, რათა არ დავუშვათ დაძაბულობის წარმოშობა, გამოვიყენოთ ყველა, თუნდაც ოდნავი შესაძლებლობა ახალი ომის თავიდან ასაცილებლად.

მაგრამ არ შეიძლება ერთმანეთში ავურიოთ ურთიერთ დათმობანი სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ინტერესებისათვის და დათმობანი პრინციპებში, იმაში, რაც ეხება ჩვენი სოციალისტური წყობილების, ჩვენი იდეოლოგიის თვით ბუნებას. აქ ლაპარაკიც არ შეიძლება რაიმე დათმობასა და რაიმე შეგუებაზე. თუ იქნება დათმობა პრინციპებში, იდეოლოგიის საკითხებში, ეს ჩვენი მოწინააღმდეგეების პოზიციებისაკენ დაქანების მომასწავებელი იქნება, ეს იქნება პოლიტიკის თვისებრივი შეცვლის მომასწავებელი, მუშათა კლასის საქმის ღალატი. ვინც ასეთ გზას დაადგება, იგი სოციალიზმის საქმის ღალატის გზას დაადგება და, რა თქმა უნდა, მას უნდა დავუშინოთ ულმობელი კრიტიკის ცეცხლი.

ჩვენ დარწმუნებული ვართ ჩვენი სიმართლის ძალაში, მაღლა გვიჭირავს და ცხადვყოფთ მთელი მსოფლიოს წინაშე ამ სოციალისტურ სიმართლეს, სოციალიზმის უპირატესობას. ჩვენ სრულიადაც არ მოგველის იმის საშიშროება, რომ სოციალისტური ქვეყნების ხალხებს კაპიტალისტური ეშმაკი აცთუნებს და ისინი უარს იტყვიან სოციალიზმზე. სხვანაირად ფიქრი ნიშნავს არ გწამდეს სოციალიზმის ძალა, მუშათა კლასის ძალა და მისი შემოქმედებითი უნარი.

საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში ცნობილია ლენინის ბრძნული და მოქნილი საგარეო პოლიტიკის ბევრი მაგალითი, პოლიტიკისა, რომლის მიზანია მშვიდობის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაჭრა. ასე იყო, მაგალითად, ბრესტის ზავის პერიოდში. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა დასახა ამოცანა დაგვედო ზავი გერმანიასთან, რათა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოსათვის უზრუნველგვეყო სოციალიზმის მშვიდობიანი მშენებლობის შესაძლებლობა. ლენინსა და პარტიას მოუხდათ შეუპოვარი ბრძოლა ეწარმოებინათ ტროცკის წინააღმდეგ, რომელიც მაშინ გამოდიოდა მომემარცხენო განცხადებებით და წამოაყენა თავისი ყბადაღებული ლოზუნგი: „არც ზავი, არც ომი!“, რითაც გერმანელ იმპერიალისტთა სასარგებლო საქმე გააკეთა. ცნობილია, რომ ტროცკის ავანტიურისტული პოლიტიკა გერმანიის იმპერიალიზმმა გამოიყენა საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ. ახალგაზრდა სოციალისტურ სახელმწიფოს ბევრი სიძნელის გადალახვა მოუხდა. ასეთი იყო პოლიტიკაში ავანტიურიზმის ნაყოფი.

ახლა, რა თქმა უნდა, მდგომარეობა სულ სხვანაირია. და ჩვენ ეს მაგალითი ისტორიიდან მოვიყვანეთ იმისათვის, რომ გვეჩვენებინა ლენინური პრინციპულობა საგარეო პოლიტიკის დარგში და მოქნილობა მის განხორციელებაში.

ზოგიერთი ბურჟუაზიული მოღვაწე, რომელიც ილაშქრებს მშვიდობიანი თანაარსებობის წინააღმდეგ, ცდილობს ბრალად დასდოს სოციალისტურ ქვეყნებს და პირველ რიგში საბჭოთა კავშირს ის, რომ ჩვენ გულწრფელი არა ვართ, როცა ვლაპარაკობთ მშვიდობიან თანაარსებობაზე. ამტკიცებენ, თითქოს ჩვენ მშვიდობიანი თანაარსებობის ლოზუნგს ვაყენებთ როგორც დროებითს, ტაქტიკური მოსაზრებით, იმიტომ რომ ვითომდა მარქსიზმ-ლენინიზმი სინამდვილეში ემყარება დებულებას სოციალიზმის გამარჯვებისათვის ომის აუცილებლობის შესახებ.

მაგრამ ამგვარი მტკიცება მხოლოდ დამახინჯებაა მარქსიზმ-ლენინიზმის არსისა. მარქსიზმი ყოველთვის ეწეოდა შეურიგებელ ბრძოლას მილიტარიზმის წინააღმდეგ და არასოდეს არ მიაჩნდა სახელმწიფოთა შორის ომი საჭიროდ მუშათა კლასის გამარჯვებისათვის. დამპყრობლური ომების წინააღმდეგ ყველაზე შეურიგებელ და თანმიმდევრულ ბრძოლას ეწეოდნენ რუსი ბოლშევიკები ლენინის მეთაურობით. გაიხსენეთ აგრეთვე მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეები ავგუსტ ბებელი, ჟან ჟორესი, კარლ ლიბკნეხტი, რომლებიც მილიტარიზმისა და ომის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლები იყვნენ. ჟორესმა სიცოცხლე შესწირა თავის დაუცხრომელ მოღვაწეობას 1914 წლის იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ.

ჩვენ, კომუნისტებმა, ვიცით, რომ ომს საკუთარი სისხლით ზღავენ მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა, მთელი მშრომელი ხალხი, ხოლო კაპიტალისტები მდიდრდებიან ომით. მაგრამ ამავე დროს კომუნისტები ამბობდნენ: თუ კაპიტალიზმის წინააღმდეგობებმა გამოიწვია მძარცველური ომი მსოფლიოს ხელახლა განაწილებისათვის, მუშათა კლასი, ხალხი პასიური ვერ დარჩებიან. პირველი მსოფლიო ომი იყო იმპერიალისტური ომი მსოფლიოს ხელახლა განაწილებისათვის. მუშათა კლასს, როგორც ლენინიზმი გვასწავლის, ეს ომი უნდა გამოეყენებინა თავისი ინტერესებისათვის, გადაექცია იმპერიალისტური ომი სამოქალაქო ომად, აეღო ძალაუფლება და შეექმნა სახელმწიფო, სადაც ბატონ-პატრონი იქნებოდა მუშათა კლასი, მშრომელი ხალხი, ხოლო შემდეგ შეეწყვიტა ომი და საქმე ისე წაეყვანა, რომ საერთოდ შეუძლებელი გამხდარიყო დამპყრობლური ომები.

მთელმა მსოფლიომ იცის ბრწყინვალე მაგალითი ამ ლენინურ დებულებათა პრაქტიკული გამოყენებისა ბოლშევიკური პარტიის მიერ პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. სწორედ ბოლშევიკებმა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ყველა მეომარ სახელმწიფოს მიმართეს მოწოდებით შეეწყვიტათ ომი და დაედოთ ზავი. მეორე მსოფლიო ომი აგრეთვე გააჩაღეს იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა სხვისი ტერიტორიების დაპყრობის მიზნით, მსოფლიოს ხელახლა განაწილების მიზნით. ჰიტლერული გერმანიის, ფაშისტური იტალიისა და მილიტარისტული იაპონიის განადგურების შემდეგ მსოფლიოში დიდი ცვლილებები მოხდა. კაპიტალისტურ სისტემას ჩამოსცილდა ევროპისა და აზიის ბევრი ქვეყანა, რომლებშიც დამყარდა სახალხო დემოკრატიის წყობილება, სოციალისტური წყობილება.

ამრიგად, ისტორიული გამოცდილება მოწმობს, რომ ომებს აჩაღებდნენ არა კომუნისტები, არამედ იმპერიალისტები.

როცა მშვიდობიან თანაარსებობაზე ვლაპარაკობთ, ამას ჩვენ გულწრფელად ვამბობთ, რადგან მშვიდობიანი თანაარსებობა საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ურყევი საფუძველია. რაც შეეხება ამა თუ იმ ქვეყნის საზოგადოებრივ წყობილებას, ეს მისი ხალხის საშინაო საქმეა. ჩვენ მტკიცედ ვიცავთ სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს.

სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის კურსი, რასაც განუხრელად ახორციელებენ საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები, ახლა სულ უფრო მეტ გაგებას პოულობს დასავლეთში. გზას იკაფავს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების ურთიერთობის ისეთი ფორმები, რომლებსაც დიდი ხანია და მტკიცედ მოითხოვდა საბჭოთა მთავრობა, და როგორიც არის მოლაპარაკება მომწიფებულ საერთაშორისო პრობლემებზე, სახელმწიფო მოღვაწეთა ვიზიტების გაცვლა, ურთიერთ ხელსაყრელი ეკონომიური ურთიერთობა, კონტაქტები კულტურისა და მეცნიერების დარგში.

და თუ ამჟამად ყველა ხედავს, რომ უმჯობესდება საერთაშორისო ურთიერთობა, რა თქმა უნდა, ამას ბევრად შეუწყო ხელი საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ღონისძიებებმა.

მარტო უკანასკნელ წელიწადნახევარში, ესე იგი იმ ხანში, რაც მუშაობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ახლანდელი შემადგენლობა, საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა ისეთი დიდმნიშვნელოვანი წინადადებანი, როგორიც არის წინადადებანი ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის, უატომო ზონების შექმნის შესახებ. გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების გზით მეორე მსოფლიო ომის ნაშთების ლიკვიდაციის შესახებ, ყველაზე მომწიფებული საერთაშორისო საკითხების განსახილველად მთავრობათა მეთაურების თათბირის მოწვევის შესახებ, საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ.

საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებს უკვე მოჰყვა ერთგვარი დადებითი შედეგები. წარმოებს, მაგალითად, მოლაპარაკება, რომ დაიდოს შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. მართალია, ეს მოლაპარაკება გაჭიანურდა, მაგრამ მაინც არის გარკვეული პროგრესი, და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს მოლაპარაკება მალე წარმატებით დამთავრდება. მეორე მსოფლიო ომის ნაშთების ლიკვიდაციის პრობლემის განსახილველად, როგორც გახსოვთ, მოწვეულ იქნა საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი ჟენევაში, რომელსაც თუმცა იქ განხილულ საკითხთა გადაწყვეტა არ მოჰყოლია, მაგრამ მან მაინც შეუწყო ხელი მხარეების პოზიციების გამორკვევასა და დაახლოებას და მთლიანად დადებითი მნიშვნელოვანი ჰქონდა.

საბჭოთა მთავრობამ მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელა დასავლეთის უდიდეს სახელმწიფოებთან — ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ინგლისთან და საფრანგეთთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. ამხანაგების ა. ი. მიქოიანისა და ფ. რ. კოზლოვის მოგზაურობამ წელს შეერთებულ შტატებში, შემდეგ კი ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის რ. ნიქსონის ვიზიტმა საბჭოთა კავშირში და საბჭოთა გამოფენის მოწყობამ ნიუ-იორკში, ხოლო ამერიკის გამოფენის მოწყობამ მოსკოვში ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესებას. „ცივი ომის“ ყინულში პირველი ბზარები გაჩნდა.

ახლა გაზიარებამ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან ჰ. მაკმილანთან მისი ვიზიტის დროს სსრ კავშირში შესამჩნევი როლი შეასრულა როგორც ინგლისს-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეში, ისე აგრეთვე საერთო საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებაში.

განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი შორს გამიზნული ნაბიჯი სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობის ძირეული გაუმჯობესებისათვის და საერთაშორისო დაძაბულობის საერთო შენელებისათვის იყო შეთანხმება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვიზიტების გაცვლის შესახებ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობის დროს შეხვედრები და საუბრები მქონდა პრეზიდენტ დუაიტ ეიზენჰაუერთან, აგრეთვე სხვა სახელმწიფო მოღვაწეებთან, ამერიკის სულ სხვადასხვა წრეების წარმომადგენლებთან და უბრალო ადამიანებთან. ამ შეხვედრებმა და საუბრებმა დამარწმუნა, რომ ამერიკელი ხალხის დიდ უმრავლესობას არ უნდა ომი და სურს გაუმჯობესდეს ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის. ამერიკის შეერთებული შტატების ბევრ თვალსაჩინო მოღვაწეს პრეზიდენტის მეთაურობით ესმის ამერიკელი ხალხის ეს განწყობილება, შეშფოთებულია გამალებული შეიარაღებისა და „ცივი ომის“ შედეგად შექმნილი ვითარებით და სურს გამოინახოს მშვიდობის განმტკიცების გზები.

ჩვენი მხრივ ჩვენ ვცდილობდით, რომ როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა წრეების იმ წარმომადგენლებს, რომლებსაც ჩვენ უშუალოდ ვხვდებოდით, ისე მთელ ამერიკელ ხალხს შეეგნოთ, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობასა და მთელ საბჭოთა ხალხს გულწრფელად სურთ მშვიდობა და ესწრაფვიან ამერიკელ ხალხთან ერთად ამ საქმის გაკეთებას. ეს, ალბათ, ადვილია, ვინაიდან ამერიკელ ხალხს ასევე სურს მშვიდობა

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გაგრძელება

მიმართულებით და განვახორციელოთ ყოველგვარი გონივრული ნაწილობრივი ღონისძიებანი. ჩვენ გვსურს მხოლოდ, რომ საქმე მიდიოდეს წინ, რომ მდგომარეობა ევროპაში უმჯობესდებოდეს, რომ ევროპის კვანძი არ დარჩეს დახლართული და გასკვნილი.

დედამიწის ერთ-ერთი მოუსვენარი რაიონი, რომლის მდგომარეობაც ყოველგვარ გართულებას შეიცავს, კვლავ არის ახლო და შუა აღმოსავლეთი. მართალია, ახლა არ არის იმპერიალისტური სახელმწიფოების პირდაპირი სამხედრო ჩარევა ამ რაიონის ქვეყნების საშინაო საქმეებში, როგორც ეს იყო ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ, მაგრამ მდგომარეობა ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის ნორმალური.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ვითარება აქ უფრო ჯანსაღი არ ხდება იმის გამო, რომ ზოგიერთი სახელმწიფოს ტერიტორიას წინანდებურად, ხოლო ნაწილობრივ უფრო მეტადაც კი უცხო სახელმწიფოები იყენებენ პლაცდარმად სხვა ქვეყნების წინააღმდეგ საომარი მზადებისათვის.

მე უკვე არაერთგზის მილაპარაკნია იმ ზიანზე, რომელსაც საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს აყენებენ აგრესიული ბლოკების მონაწილე ქვეყნები, რომლებიც თავიანთ ტერიტორიას უთმობენ უცხოეთის სამხედრო ბაზების განსალაგებლად. დღეს მე მსურს კვლავ დავუბრუნდე ამ საკითხს.

მართლაც, განა შეიძლება ლაპარაკი მშვიდობისათვის ხელშეწყობაზე იმ სახელმწიფოს მხრივ, რომელმაც თავისი პოლიტიკის თითქმის მთავარ პრინციპად გაიხადა ეროვნული ტერიტორიის დათმობა უცხოეთის რაკეტულ-ატომური ბაზებისათვის, რომლებიც დამიზნებულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ისეთი ქვეყანა, როგორიც არის თურქეთი, რომელიც ჩვენი სამხრეთელი მეზობელია, მონაწილეობს ნატოშიც, სენტოშიც, მხოლოდ აი სეატოში ჯერ არ შესულა ალბათ სიშორის გამო. მაგრამ თუ დაჰპირდნენ ეგრეთწოდებულ დახმარებას, მათ მანძილის სიშორე ვერ შეაჩერებს. მართალია, „დახმარების“ დაპირება კიდევ არ ნიშნავს მის გაწევას. ვფიქრობ, რომ, თუ თურქეთის მმართველ წრეებს დაჰპირდნენ რაღაც თანხას, ისინი უსათუოდ სიხარულით შევიდოდნენ სეატოშიც და რომელიც გნებავთ „ატოშიც“. **(სიცილი დარბაზში).**

მაგრამ როგორია სამხედრო ბლოკებში თურქეთის მონაწილეობის ძირითადი შედეგი? თურქეთის ტერიტორია გადაქცეულია ნამდვილ სამხედრო პლაცდარმად, სადაც ახლა განალაგებენ კიდევ უცხოეთის რაკეტებს ატომგულის მუხტით. არა მგონია საჭირო იყოს იმაზე ლაპარაკი, რომ ეს ძირს უთხრის უწინარეს ყოვლისა თვით თურქეთის უშიშროებას.

ჩვენ არაერთგზის გვილაპარაკნია თურქეთის ასეთი საგარეოპოლიტიკური კურსის საშიშროებაზე და შეგვიტანია კონკრეტული წინადადებანი ჩვენს სახელმწიფოებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების ინტერესებისათვის. ჩვენ გულწრფელად გვსურს, რომ ჩვენი ურთიერთობა შენდებოდეს მეგობრობისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით, რომლებიც დამახასიათებელი იყო შედარებით არაშორეული წარსულისათვის, როცა თურქეთის პოლიტიკას განსაზღვრავდა ისეთი გამოჩენილი მოღვაწე, როგორიც ქემალ ათათურქი იყო.

რაც შეეხება ჩვენს ურთიერთობას მეორე სამხრეთელ მეზობელთან — ირანთან, ეს ურთიერთობა სასურველია უკეთესი იყოს. საბჭოთა მთავრობამ უკანასკნელ წლებში განახორციელა მთელი რიგი დიდი ღონისძიებანი, რათა დაემყარებინა კარგი, მეგობრული ურთიერთობა ირანთან. მაგრამ ირანის ხელმძღვანელებმა თავიანთი ქვეყნის ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ ამჯობინეს შეებოჭათ თავი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული სამხედრო ვალდებულებებით როგორც სენტოს სამხედრო ბლოკის ფარგლებში, ისე მის გარეთაც.

აქვე ვიტყვი ამ ბლოკის სახელწოდების შესახებ, რომელსაც წინათ ეწოდებოდა ბაღდადის პაქტი. თუ გავითვალისწინებთ ამ ცოტა ხნის წინანდელი წარსულის აგრესიული ძალებისათვის სავალალო გაკვეთილებს, ამ ბლოკს ახლა უწოდებენ „ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაციას“, შემოკლებულად კი—სენტოს. ეს მეტად საგულისხმოა. არის კარგი ანდაზა: „ფაფის შეშინებული დოს უბერავდაო“. ბაღდადის პაქტი ჩაიფუშა. ახლა მისმა სულისჩამდგმელებმა ვეღარ გაბედეს ეწოდებინათ თავიანთი პაქტისათვის ანკარის ან თეირანის პაქტი, და მოიგონეს გაუპიროვნებული სახელწოდება — სენტო.

რას იზამ, შეიძლება გავუგოთ მათ! ახლა მათ მეტი რწმენა აქვთ, რომ ამ პაქტის სახელწოდება მაინც დარჩება. **(სიცილი დარბაზში).**

აშკარად უნდა განვაცხადოთ, რომ ასეთი პოლიტიკა არ შეესაბამება მშვიდობის განმტკიცებისა და საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობის გაუმჯობესების ინტერესებს. ირანის პოლიტიკის მიმართულების შესახებ შემდგომში უნდა ვიმსჯელოთ იმათი კონკრეტული საქმეებით, ვინც ამ ქვეყნის პოლიტიკას განსაზღვრავს.

თურქეთსა და ირანს კი აქვთ ყველა ობიექტური შესაძლებლობა იმისათვის, რომ შეიტანონ თავიანთი წვლილი მსოფლიოს ამ რაიონის დაძაბულობის შენელების საქმეში და გააუმჯობესონ ურთიერთობა მეზობელ მშვიდობისმოყვარე ქვეყნებთან.

საერთაშორისო საზოგადოებრიობის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ჩვენს დღეებში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისადმი ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს დამოკიდებულების საკითხი. სახალხო ჩინეთი დიდი ქვეყანაა, რომლის მოსახლეობა 650 მილიონი კაცია და რომელიც უეჭველია უდიდეს როლს ასრულებს საერთაშორისო ცხოვრებაში, დასავლეთის სახელმწიფოთა მმართველ წრეებს კი სურთ გადააქცინონ ჩინეთი მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ. დასავლეთში ჯერ კიდევ ცდილობენ დამკვიდრონ ის აზრი, თითქოს არსებობს არა ერთი, არამედ ორი ჩინეთი. მაგრამ ყოველმა მოსწავლემ იცის, რომ არის მხოლოდ ერთი ჩინეთი და რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქი პეკინია. არავის არასოდეს არ გაუგონია ჩინეთი ტაივანის სახელწოდებით და არასოდეს არ ყოფილა და არ იქნება ჩინეთის დედაქალაქი ტაიბეი.

ამას გარდა, იმ პოზიციის შედეგად, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მათმა მოკავშირეებმა დაიკავეს, დღემდე არ არის აღდგენილი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, თუმცა ეს ეწინააღმდეგება საღ აზრს. ჩინეთი მოკავშირეთა მხარეზე ომობდა იაპონიის წინააღმდეგ. იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელი და უშიშროების საბჭოს ხუთი წევრიდან ერთ-ერთი მუდმივი წევრია. ახლა კი ეს ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უჭირავთ თვითმარქვიებს, რომლებმაც ჩინეთის დიდი რევოლუციის გამარჯვების შედეგად ჩინელი ხალხის ნებით დაკარგეს ჩინეთის წარმომადგენლობის უფლება. ამ ადამიანებს როდი აქვთ მეტი უფლება ილაპარაკონ ჩინეთისა და ჩინელი ხალხის სახელით, ვიდრე, ვთქვათ, ემიგრაციაში მყოფ კერენსკის — საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა მთავრობის ხალხთა სახელით.

ცნობილია, რომ ათი წლის წინათ, სახალხო რევოლუციის გამარჯვების შედეგად, ჩინეთში დაემხო ძველი ძრმომმპალი რეჟიმი, ხოლო ჩან კაი-შის მთავრობა გაძევებულ იქნა. შეიქმნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა ჩინეთში სარგებლობს ისეთი ავტორიტეტითა და ნდობით, როგორითაც იქ არასდროს არ უსარგებლია არც ერთ მთავრობას ჩინეთის მთელი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე. საბჭოთა კავშირს უაღრესად მეგობრული ურთიერთობა აქვს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და მის მთავრობასთან. ახლა, როცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა უკვე შევიდა თავისი არსებობის მეორე ათეულ წელში, მას შემდეგ, რაც ჩინეთში განხორციელდა უდიდესი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები, მიღწეულია თვალსაჩინო წარმატებანი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, განსაკუთრებით სასაცილონი არიან ისინი, ვინც იცავს უგუნურ პოზიციას „ორი ჩინეთის“ შესახებ.

აშკარა ფაქტებისა და ისტორიული განვითარების მსვლელობის მიუხედავად შეერთებული შტატები კვლავ ებღაუჭებიან ჩანკაიშელთა დამხობილი რეჟიმის ნაშთებს, ისინი დაეხმარნენ ჩანკაიშელებს მოეკალათებინათ ტაივანზე და იცავენ მათ თავიანთი იარაღის ძალით. ამით ცდილობენ ხელი შეუშალონ რევოლუციურ-განმათავისუფლებელი პროცესის დამთავრებას ჩინეთში, ტაივანზე და ჩინეთის სხვა მიწა-წყალზე იმ სახელმწიფო სისტემის გავრცელებას, რომელიც ახლა არსებობს ჩინეთის მთელ დანარჩენ ტერიტორიაზე.

ჩინეთის საშინაო საქმეებში ჩარევა, ცდები „შეასწორონ“ გეოგრაფია და შექმნან „ორი ჩინეთის“ ხელოვნური სიტუაცია ეწინააღმდეგება ხალხთა მისწრაფებას „ცივი ომის“ ლიკვიდაციისადმი და ქმნის დაძაბულ მდგომარეობას შორეულ აღმოსავლეთში.

საუბრებში, რომლებიც გაიმართა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩემი ყოფნის დროს, შეეხეთ ჩინეთის თემასაც. მე მაშინ საბჭოთა მთავრობის თვალსაზრისი გამოვთქვი ეგრეთწოდებულ ტაივანის საკითხზეც და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის უფლებათა აღდგენის საკითხზეც. მაგრამ მალე ამის შემდეგ სახელმწიფო მდივანმა ბ-ნმა ჰერტერმა და მისმა მოადგილემ ბ-ნმა დიელონმა თავიანთ გამოსვლებში დაიწყეს რაღაც ფსიქოლოგიური იერიში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ცდილობდნენ განზრახ დაემახინჯებინათ სსრ კავშირისა და ჩინეთის ურთიერთობის ხასიათი, საეჭვოდ გაეხადათ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სუვერენობა თავისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხების გადაჭრაში.

არ ვიცი, როგორ გაისმის ეს ამერიკულად, რუსულად კი ასეთ ცდებს შეიძლება ცხენის ლოგიკა ვუწოდოთ. **(სიცილი დარბაზში).** მართლაც, ვისთვის არ არის ნათელი, რომ სახალხო ჩინეთი დიდი სუვერენული სახელმწიფოა, რომ მისი მთავრობა დამოუკიდებელ საშინაო და საგარეო პოლიტიკას ახორციელებს. და სავსებით სამართლიანია, რომ თვითონ ამერიკელები იღებენ სასაცილოდ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ გამოთქმულ შეხედულებებს. მაგალითად, ცნობილმა ამერიკელმა პუბლიცისტმა უოლტერ ლიპმანმა სწორად აღნიშნა, რომ ასეთ განცხადებებს შეუძლია მხოლოდ ზიანი მიაყენოს საერთაშორისო თანამშრომლობის გაუმჯობესების საქმეს და რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მოღვაწეებს არ შეჰფერით ასეთი ოფიციალური საჯარო კომენტარები გაუკეთონ საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობას. ბატონ ჰერტერსა და ბატონ დიელონს კარგად უნდა სცოდნოდათ, რომ ამგვარ ხერხებს არ მოჰყვება რაიმე შედეგი, როცა საქმე ეხება საბჭოთა კავშირსა და სახალხო ჩინეთს.

რაც შეეხება საკითხის არსს, შეიძლება გავიხსენოთ, რომ იაპონიის განადგურების შემდეგ კუნძული ტაივანი (ამერიკელები ამჯობინებენ ფორმოზა უწოდონ მას) ჩინეთს დაუბრუნდა. ჩინეთის უფლებები ტაივანის მიმართ ფიქსირებულია კაიროს დეკლარაციაში, რომელსაც ხელს აწერს ამერიკის შეერთებული შტატების განსვენებული პრეზიდენტი რუზველტი, და პოტსდამის დეკლარაციაში, რომელსაც ხელს აწერს ყოფილი პრეზიდენტი ტრუმენი, აგრეთვე იაპონიის კაპიტულაციის აქტში. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა თავის დროზე ცნობდა, რომ ტაივანი ჩინეთს დაუბრუნდა და რომ ეს პრობლემა ამგვარად საბოლოოდ გადაჭრილია. 1950 წელს ჰ. ტრუმენმა, როცა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი იყო, განაცხადა, რომ ტაივანი ჩინეთის დაუბრუნდა და რომ ამერიკის შეერთებული შტატები და სხვა მოკავშირე სახელმწიფოები დათანხმდნენ იმაზე, რომ ჩინეთის მთავრობამ განახორციელოს თავისი ხელისუფლება ამ კუნძულის მიმართ.

ამრიგად, ეგრეთწოდებული ტაივანის საკითხი ჩინელებთან ჩინელების ურთიერთობის საკითხია, ჩინეთის წმინდა საშინაო საქმეა. არ წარმოიშობდა რაიმე საერთაშორისო გართულება, რომ არ ყოფილიყო ჩინეთის საშინაო საქმეებში ჩარევა, ხელოვნურად რომ არ შეექმნათ ტაივანზე სიტუაცია, რომელიც გამოიწვია იმან, რომ ჩანკაიშელთა რეჟიმის ნაშთებს სამხედრო დახმარებას უწევენ და იცავენ ამერიკის შეერთებული შტატები.

დარწმუნებული ვართ, რომ ტაივანი და სხვა კუნძულები შეუერთდება დანარჩენ ჩინეთს. რაიმე მუქარა ან გადაკრულად დამუქრება ამ საქმეში ყოვლად უსაფუძვლოა. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ხშირად პატარა ქვეყანასაც ვერ შეაჩერებს მუქარა, როცა ეს ქვეყანა ცდილობს განახორციელოს თავისი ეროვნული მისწრაფება. მუქარა მით უფრო უსაფუძვლოა, როცა საქმე ეხება ისეთ უდიდეს ქვეყანას, როგორიც არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.

იმათ, ვინც ლაპარაკობს სსრ კავშირის პასუხისმგებლობაზე ჩინეთის მოქმედებისათვის, უნდა იცოდნენ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას არ ესაჭიროება ვისიმე მეურვეობა. სახალხო მთავრობა საკუთარ პოლიტიკას ახორციელებს და თავისი ხალხის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ღირსეული წარმომადგენელია.

თუ ვილაპარაკებთ საბჭოთა კავშირზე, როგორც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოკავშირეზე, ჩვენ თანახმა ვართ ვიკისროთ ეს პასუხისმგებლობა. საბჭოთა კავშირისათვის მახლობელი და გასაგებია ჩინელი ხალხისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მისწრაფება ჩინეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში დააბრუნონ ტაივანი და სხვა კუნძულები, რომლებიც ჩინეთს ეკუთვნის, მაგრამ ოკუპირებულია უცხოეთის ჯარების მიერ. ჩვენ ამ საკითხში სავსებით ვუჭერთ და კვლავაც დავუჭერთ მხარს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას, სანამ იგი არ მიაღწევს ამ საკითხის გადაჭრას, რადგან იურიდიული და მორალური უფლებები მის მხარეზეა. **(ხანგრძლივი ტაში).**

შორეული აღმოსავლეთის სხვა პრობლემებს შორის ყურადღების ღირსია კორეის საკითხი. ეს ქვეყანა გათიშულია ორ ნაწილად. ახლანდელი ვითარება კორეის ნახევარკუნძულზე ისეთია, რომ ძნელად თუ შეიძლება იქ ახლა წარმოიშვას სამხედრო კონფლიქტი. მართალია, ღრმად მოხუცი ლი სინ მანი ცდილობს გააღვივოს ომის ფსიქოზი, მაგრამ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა მშვიდად უყურებს მის მუქარას და მტკიცე რწმენით აშენებს სოციალიზმს. როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური მდგომარეობა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამჟამად კარგია. ეს ქვეყანა წარმატებით იშუშებს ომით მიყენებულ ჭრილობებს და დღითიდღე მტკიცდება.

სულ სხვა მდგომარეობაა სამხრეთ კორეაში. ეკონომიკა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობა, იქ კვლავ დეგრადაციას განიცდის. სამხრეთი კორეა გაჩანაგებულია, და ლი სინ მანსაც კი არ შეუძლია არ გაითვალისწინოს, რომ მის ქვეშევრდომთ სულაც არ სწყურიათ დაიწყონ ომი თავიანთი ძმების წინააღმდეგ ჩრდილოეთ კორეაში. გარდა ამისა, ლი სინ მანს, ეტყობა, ესმის, რომ თუ ომს გააჩაღებს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, ეს ომი შეიძლება მალე დიდ ომად გადაიზარდოს. მან კი მშვენივრად იცის, რომ მოკავშირეები ჰყავს არა მარტო სამხრეთ კორეას, არამედ კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასაც. **(ტაში).**

თუ ვილაპარაკებთ მთავარ ძალაზე, რომელიც განსაზღვრავს სამხრეთ კორეის პოლიტიკას, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამერიკის შეერთებული შტატები იქ სამხედრო კონფლიქტს არ ეძებენ. ამჟამად დედამიწის ამ კუთხეშიც ძალთა თანაფარდობა იმათი სასარგებლო როდია, ვისაც სურს იდეოლოგიური საკითხები გადაჭრას ომის გზით, ან სხვა რაიმე არამშვიდობიანი საშუალებით.

ამრიგად, იქმნება ხელსაყრელი პირობები, რომ თანდათანობით მომზადდეს კორეის საკითხის საბოლოო გადაჭრა. ეს საქმე უნდა დაიწყოს სამხრეთ კორეიდან უცხოეთის ჯარების გაყვანით. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თუ კორეაში უცხოეთის ჯარები არ იქნებიან, თუ კორეის საშინაო საქმეებში გარედან არ ჩაერევიან, კორეელები თვითონ უფრო მალე შეთანხმდებიან ჩრდილოეთისა და სამხრეთის თანდათანობით დაახლოებაზე, რაც თავის მხრივ შექმნის წანამძღვარებს, რომ კორეის ეროვნული ერთიანობის აღდგენა მოხდეს მშვიდობიან დემოკრატიულ საფუძველზე.

ცუდი იერი მიეცა ამ უკანასკნელ ხანს ლაოსის მდგომარეობის საკითხს. როგორ წარმოიშვა ეს საკითხი? ყველასთვის ცნობილმა წრეებმა, რომელნიც უფრო აგრესიული ბლოკის სეატოს გაფართოებაზე ფიქრობენ, ვიდრე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მშვიდობის განმტკიცებაზე, ჯერ მიაღწიეს იმას, რომ მუშაობა შეეწყვიტა ლაოსის საკითხთა საერთაშორისო კომისიას, რომელიც შეიქმნა ჟენევის 1954 წლის თათბირის გადაწყვეტილებით. ამის შემდეგ იმავე წრეებმა საქმე ისე წაიყვანეს, რომ გართულებულიყო მდგომარეობა თვით ლაოსში, სადაც ჟენევის შეთანხმებათა პირდაპირი დარღვევით დაიწყო პატეტ-ლაოს ყოფილი ძალების დევნა, ამოქმედდა იარაღიც. თუმცა საომარი ოპერაციები ლაოსში წარმოებს მასშტაბით — ოცეული ოცეულის წინააღმდეგ, მაგრამ ხმაური მთელი მსოფლიოს გასაგონად საჭიროზე მეტი ატყდა.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, ჩვენ იმის წინააღმდეგი ვართ, რომ ლაოსში იყოს თუნდაც ომის პატარა კერა, რომელიც საზრდოს მისცემდა აგრესიულ ძალებს. შეტაკებანი, რომლებიც იქ ხდება, გონივრული მიდგომით და საერთაშორისო შეთანხმებათა დაცვით შეიძლება ლიკვიდირებულ იქნას, ხოლო ვითარება ნორმალიზებულ იქნას. მთავარი ის არის, რომ დიდი სახელმწიფოები არ ერეოდნენ სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში, რადგან სხვანაირად შეიძლება არასასურველი შედეგები ვიღოთ.

ჩვენ ძალიან გვაწუხებს ინციდენტები, რომლებიც უკანასკნელ ხანს მოხდა ჩვენი ორი მეგობარი სახელმწიფოს საზღვარზე—ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა, რომელთანაც ურღვევი ძმური მეგობრობა გვაკავშირებს, და ინდოეთის რესპუბლიკისა, რომელთანაც ჩვენი მეგობრული ურთიერთობა წარმატებით ვითარდება. განსაკუთრებით გვაწუხებს ის, რომ ამ ინციდენტებს შედეგად მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი როგორც ერთ, ისე მეორე მხარეზე. დაღუპულთა მშობლებსა და მახლობლებს ვერაფერი ვერ აუნაზღაურებს ამ დანაკლისს. ჩვენ მოხარული ვიქნებით, თუ ინციდენტი ჩინეთ-ინდოეთის საზღვარზე არ განმეორდება, თუ სადავო სასაზღვრო საკითხები გადაიჭრება მეგობრული მოლაპარაკებით ორივე მხარის დასაკმაყოფილებლად.

ვფიქრობ, საჭირო არ არის ვილაპარაკოთ საბჭოთა კავშირის ურთიერთობაზე ყველა ქვეყანასთან. მე აქ დავასახელე მხოლოდ ის საკვანძო საკითხები, ის პუნქტები, რომლებიც რამდენადმე იწვევენ შეშფოთებას თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობისათვის. დედამიწის სხვა ქვეყნებსა და პუნქტებში რაიმე განსაკუთრებული ცვლილება ამ უკანასკნელ ხანს არ მომხდარა.

შეიძლება მხოლოდ ითქვას, რომ ყველა საფუძველი გვაქვს კმაყოფილი ვიყოთ იმ ურთიერთობის გამო, რომელიც გვაქვს მეტ წილ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით იმათთან, ვისთანაც იზრდება. და მტკიცდება საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობა. მაგრამ იმ სახელმწიფოებთანაც, რომლებთანაც ჩვენ ჯერჯერობით არა გვაქვს საჭირო ურთიერთგაგება, ჩვენ გვინდა გაუმჯობესდეს ურთიერთობა, მივაღწიოთ სრულ ურთიერთგაგებას, რომელიც მეგობრობად გადაიზრდება.

მიღწეულმა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებამ გამოიწვია როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქვეყნებთან ჩვენი ურთიერთობის შემდგომი გაფართოება. მტკიცედ უნდა განვახორციელოთ ჩვენი ლენინური მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, და განვახორციელებთ მას განუხრელი თანმიმდევრობით. **(ხანგრძლივი ტაში).**

განიარაღების პრობლემა უნდა გადაიჭრას!

ამხანაგო დეპუტატებო!

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობის დროს მე საბჭოთა მთავრობის სახელით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განსახილველად შევიტანე წინადადება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ.

საბჭოთა კავშირის ამ წინადადებამ, როგორც იცით, დიდი დადებითი გამოხმაურება გამოიწვია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, მიგვაჩნია, რომ განიარაღების პრობლემა თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. იმაზე, შეგძლებთ თუ ვერა ამ პრობლემის გადაჭრას, დამოკიდებულია, სად წავა კაცობრიობა — მშვიდობისა თუ ომისაკენ. ამის შესახებ ჩვენს დროში, მგონია, უკვე არ არის ორი აზრი.

კაცობრიობის ისტორიაში ხალხები ჯერ არასოდეს არ ყოფილან იძულებულნი თავიანთი შრომის ესოდენ უდიდესი წილი მიეცათ ნგრევის საშუალებათა დასამზადებლად, როგორც ახლა. გამალებული შეიარაღება ყოვლისმომცველი გახდა. იზრდებიან არმიები, იზრდება და სრულყოფილი ხდება ეგრეთწოდებული ჩვეულებრივი შეიარაღება, განუწყვეტლივ დიდდება ატომგულის ბომბებისა და რაკეტული იარაღის მარაგი. ამერიკული გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ იუწყებოდა, რომ 1945 წლის ივლისიდან გასული წლის ბოლომდე წარმოებული იყო დაახლოებით 250 ატომური აფეთქება, რომელთა საერთო სიმძლავრე შეადგენს დაახლოებით 100 მილიონ ტონა ტრინიტროტოლუოლს. ამ აფეთქებათა სიმძლავრე ბევრად აღემატება ერთად აღებულ ყველა ბომბის, ნაღმისა და ყუმბარის აფეთქების სიმძლავრეს პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს. ხოლო დღემდე აფეთქებული ატომგულის ბომბების საცდელი ნიმუშები წარმოადგენენ საწყობებში დაგროვებული ატომური და წყალბადის იარაღის მეტად მცირე ნაწილს. აი სადამდე მიიყვანა კაცობრიობა გამალებულმა შეიარაღებამ!

სულ ცოტა ხნის წინათ დიდი მანძილი, ვთქვათ ოკეანეები, ბუნებრივი დაბრკოლება იყო ერთი კონტინენტიდან მეორეზე ომის გავრცელებისათვის. პირველმა და მეორე მსოფლიო ომებმა გაანადგურეს უმთავრესად ევროპა. ზოგიერთ სახელმწიფოს კიდევ ჰქონდა შესაძლებლობა თავი შეეფარებინა ოკეანეთა სივრცეების გამო ან შორეული რაიონებისათვის. მათ შეძლეს არა მარტო თავიდან აეცილებინათ ნგრევა და ომის სხვა უბედურება, არამედ უდიდესი კაპიტალიც კი შეეძინათ ომში.

სულ სხვა მდგომარეობაა ახლა. რამდენიმე წუთში უაღრესად ძლიერი გამანადგურებელი საშუალება — ატომგულის იარაღი შეიძლება მიტანილ იქნას დედამიწის ყოველ პუნქტში. ახალი ომი არავის არ დაინდობს და კაცობრიობას უმაგალითო მსხვერპლს, ნგრევასა და ტანჯვას მიაყენებს. არ იქნება გარჩევა ზურგსა და ფრონტს შორის, ჯარისკაცებსა და მშვიდობიან მცხოვრებლებს შორის.

იმისათვის, რომ გზა გადავუღობოთ ომს, საჭიროა განვახორციელოთ საყოველთაო და სრული განიარაღება. სწორედ ამ მიზნით შეიტანა საბჭოთა მთავრობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განსახილველად თქვენთვის ცნობილი წინადადებანი.

რა არის საბჭოთა კავშირის მიერ შეტანილი პროგრამის არსი? ჩვენ წინადადებას ვიძლევით უაღრესად მჭიდრო ვადებში, დაახლოებით ოთხ წელიწადში, განხორციელდეს სახელმწიფოთა საყოველთაო და სრული განიარაღება. ეს იმას ნიშნავს, რომ დაშლილ იქნან მთელი შეიარაღებული ძალები, ლიკვიდირებულ იქნას მთელი შეიარაღება, შეწყდეს სამხედრო წარმოება. საბოლოოდ და სამუდამოდ აიკრძალოს და მოისპოს ატომგულის, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და რაკეტული იარაღი. გაუქმდეს სამხედრო სამინისტროები და გენერალური შტაბები, ლიკვიდირებულ იქნას უცხოეთის სამხედრო ბაზები სხვის ტერიტორიებზე, არავინ აღარ სწავლობდეს სამხედრო საქმეს, შეწყდეს სახსრების ხარჯვა სამხედრო მიზნებისათვის ყოველგვარი სახით.

სახელმწიფოთა განკარგულებაში დარჩებიან მხოლოდ პოლიციისა თუ მილიციის შეთანხმებული რაოდენობის პატარა კონტინგენტები, რომლებიც განკუთვნილი იქნებიან საშინაო წესრიგისა და მოქალაქეთა უშიშროების დასაცავად და შეიარაღებული იქნებიან მხოლოდ მსუბუქი სასროლი იარაღით.

სრული განიარაღების შესახებ შეთანხმების დარღვევა რომ ვერავინ შეძლოს, ჩვენ მოვითხოვთ დაწესდეს მკაცრი, ეფექტიანი და ყოვლისმომცველი საერთაშორისო კონტროლი.

საყოველთაო და სრული განიარაღება დასაბამს მისცემს ახალ ეტაპს ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში — მსოფლიოს, სადაც ომები აღარ იქნება.

საყოველთაო და სრული განიარაღება მომასწავებელი იქნება აგრეთვე ყველა ხალხის კეთილდღეობის უდიდესი აღმავლობისა. სამხედრო ხარჯების შეწყვეტა გაათავისუფლებს კოლოსალურ მატერიალურ რესურსებს ეკონომიკის მშვიდობიანი დარგების გაფართოებისათვის ყველა ქვეყანაში — დიდ და პატარა ქვეყნებში. მნიშვნელოვანი სახსრები მოხმარდება აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ეკონომიურად სუსტადგანვითარებული ქვეყნების მოსახლეობის ცხოვრების დონისა და მეურნეობის აღმავლობას. იქ შეიძლება აშენდეს ბევრი ქარხანა, ელექტროსადგური, საირიგაციო და სარწყავი ნაგებობანი, სახლები, სკოლები, საავადმყოფოები. ყველა ქვეყნის მეცნიერები მიიღებენ უდიდეს დამატებით შესაძლებლობებს მშვიდობის სასარგებლოდ, ხალხთა საკეთილდღეოდ მუშაობისათვის, მეცნიერული კვლევის გაფართოებისათვის უაღრესად სხვადასხვა დარგში — ტექნიკაში, მედიცინაში, კოსმოსის გამოკვლევის დარგში და სხვ. ისინი შეძლებენ გააერთიანონ თავიანთი ღონისძიებანი მეცნიერული ხასიათის ბევრი გრანდიოზული გეგმის განსახორციელებლად.

ახლა რომ ვცადოთ შევაჯამოთ თუნდაც წინასწარი შედეგი იმისა, თუ როგორ მიიღო მსოფლიო საზოგადოებრიობამ საბჭოთა წინადადებანი განიარაღების შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენმა წინადადებებმა შეძრეს მსოფლიოს ყველა ქვეყნის მოსახლეობის უაღრესად ფართო ფენები. საბჭოთა მთავრობის წინადადებანი განიარაღების შესახებ მოიწონა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივმა კომიტეტმა, მას ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ყველა სოციალისტურმა ქვეყანამ.

განიარაღების პრობლემა ახლა წარმოადგენს არა დიპლომატების მოლაპარაკების და ექსპერტთა კვლევის უბრალო ობიექტს, არამედ საზოგადოებრივი ბრძოლის უმნიშვნელოვანეს საკითხს, რომელშიც მონაწილეობს კაცობრიობის უდიდესი უმრავლესობა.

ამერიკაში ჩემი ვიზიტის დროს პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერთან ერთად განვიხილეთ განიარაღების პრობლემა. ჩემთვის სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ ბატონი ეიზენჰაუერი იმის მომხრეა, რომ საჭიროა გამოინახოს განიარაღების პრობლემის გადაწყვეტა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საბჭოთა წინადადებებზე ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ბ-ნ მაკმილანის, ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ბ-ნ ნერუს, ინდონეზიის პრეზიდენტის ბ-ნ სუკარნოსა და სხვების გამოხმაურებას დადებითი მნიშვნელობა აქვს მომავალი მოლაპარაკებისათვის. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიმდინარე სესიაზე ჩვენი წინადადებების განხილვის მსვლელობაში დელეგატთა უმრავლესობამ ამა თუ იმ ფორმით გამოთქვა თავისი დადებითი დამოკიდებულება საყოველთაო და სრული განიარაღების იდეისადმი.

განიარაღების შესახებ ჩვენი წინადადებებისადმი დიდ ინტერესს იჩენენ სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებრივი, პოლიტიკური და საქმიანი წრეები. ჩვენ მივესალმებით, კერძოდ, კენტერბერის არქიეპისკოპოსის ჯეფრი ფიშერის გამოსვლას და მადლობას ვუხდით მას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ საბჭოთა წინადადებების სწორი გაგებისა და მხარდაჭერისათვის. განსაკუთრებით ძვირფასია, რომ ეს გააკეთა არქიეპისკოპოსმა — ანგლიკანური ეკლესიის მეთაურმა, რომელმაც ქრისტიანული პოზიციებიდან აღიარა ჩვენი წინადადებების ჰუმანურობა. უნდა ვ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების დასასრული

დაძრეს ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ თავიანთი ჯარები, შეიარაღებულ და მატერიალურ დახმარებას უწევდნენ რევოლუციის მტრებს. საბჭოთა ხალხი იძულებული იყო შეიარაღებულიყო იმისათვის, რომ დაეცვა თავისი, რევოლუციური მონაპოვარი და სამშობლოს დამოუკიდებლობა.

უფრო გვიან, როცა შეიქმნა ერთა ლიგა, საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა ფართო წინადადებანი განიარაღებისა და იარაღის მოსპობის შესახებ. ეს წინადადებანი ჩამოაყალიბა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ლიტვინოვმა.

ახლა ჩვენ წამოვაყენეთ წინადადებანი საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ ახალ საფუძველზე, გავითვალისწინეთ სხვა სიტუაცია და ძალთა სხვა თანაფარდობა, რომელიც შეიქმნა მსოფლიოში.

წინათ ზოგიერთი უარყოფდა ჩვენს წინადადებებს, ამტკიცებდა, თითქოს ისინი ხელსაყრელია მხოლოდ საბჭოთა ქვეყნისათვის, იმიტომ რომ იგი მაშინ სუსტი იყო. და, მართლაც, მაშინ საბჭოთა კავშირი იყო ერთადერთი სოციალისტური ქვეყანა და, უდავოა, განუზომლად უფრო სუსტი, ვიდრე ახლა. მაგრამ მაშინაც, წამოვაყენეთ რა ჩვენი წინადადებანი განიარაღების შესახებ, ჩვენ ვხელმძღვანელობდით მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების ჰუმანური იდეებით.

ახლა ძალთა სულ სხვა თანაფარდობაა. მეორე მსოფლიო ომში ჩვენს მოკავშირეებთან ერთად მოქმედებით ჩვენ გავანადგურეთ მძლავრი მოწინააღმდეგე. ომის შემდეგ საბჭოთა ხალხმა წარმატებით აღადგინა სახალხო მეურნეობა, მიაღწია ეკონომიკისა და კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის უმაგალითო აღმავლობას, მშრომელთა ფართო მასების კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

საბჭოთა კავშირი, საყოველთაო აღიარებით, წარმოადგენს მსოფლიოს მძლავრ სახელმწიფოს. ახლა საბჭოთა კავშირი უკვე მარტო როდია. არსებობს სოციალისტურ სახელმწიფოთა დიდი ბანაკი. ამ პირობებში არავის არ შეუძლია ამტკიცოს, თითქოს ჩვენი წინადადებანი საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ ნაკარნახევია სისუსტით. ჩვენ გვაქვს ყოველივე აუცილებელი იმისათვის, რომ დავიცვათ ჩვენი ქვეყანა გარედან ყოველგვარი ხელყოფისაგან და გამანადგურებელი წინააღმდეგობა გავუწიოთ მტერს. **(ხანგრძლივი ტაში).** ჩვენ შეგვიძლია არა მარტო უზრუნველვყოთ ჩვენს საქმეებში ჩაურევლობა, არამედ კიდევაც დავეხმაროთ მოძმე სოციალისტურ ქვეყნებს დაიცვან თავიანთი მონაპოვარი, თავიანთი თავისუფლება და დამოუკიდებლობა. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამიტომ, როცა ახლა შეგვაქვს წინადადებანი განიარაღების შესახებ, სავსებით ცხადია, რომ ისინი ნამდვილად ნაკარნახევია ჰუმანური მიზნებით და მიმართულია იქითკენ, რომ გამოვრიცხოთ ომი, რომელმაც შეიძლება მოიტანოს საშინელი უბედურება თერმოატომგულის იარაღის საუკუნეში. ჩვენ არა გვსურს სამხედრო მიზნებისათვის გამოვიყენოთ ის უპირატესობანი, რომელიც გვაქვს და რომლებიც გაიზრდება სოციალისტური ქვეყნების შემდგომი განვითარების კვალობაზე.

მარქსისტულ-ლენინურ თეორიაზე დამყარებული მთელი ჩვენი პოლიტიკა გამსჭვალულია ზრუნვით ადამიანისათვის, ხალხთა ბედნიერებისათვის, ამიტომ ჩვენ ომის წინააღმდეგი ვართ. **(მჭუხარე ტაში).**

დასავლეთის ქვეყნებში არიან მოღვაწეები, რომლებსაც არა სურთ ხელი აიღონ ძველ შეხედულებებზე, ამტკიცებენ, რომ უნდა ჰქონდეთ ძალა და ძალის პოზიციიდან უკარნახებდნენ სუსტებს თავიანთ ნებას. ისინი ცდილობენ ჩუმჩუმად შეურყიონ ადამიანებს იმის რწმენა, რომ საბჭოთა წინადადებანი რეალურია. ისინი ამახინჯებენ ჩვენს წინადადებებს კონტროლის შესახებ, თუმცა ჩემს გამოსვლაშიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე და საბჭოთა მთავრობის დეკლარაციაშიც ნათლად არის ნათქვამი, რომ საყოველთაო განიარაღების პირობებში ჩვენ მზად ვართ განვახორციელოთ საყოველთაო კონტროლი.

საკმარისია ყურადღებით გაეცნონ ჩვენს წინადადებებს, რათა დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა მთავრობა მოითხოვს დაწესდეს მკაცრი საერთაშორისო კონტროლი განიარაღების ყველა ღონისძიებისადმი. ჩვენ მოვითხოვთ, რომ განიარაღების თვითეული ეტაპისათვის დაწესდეს კონტროლის შესაბამისი ეტაპი. ჩვენ აგრეთვე მხედველობაში გვაქვს, რომ კონტროლიორები სახელმწიფოთა ტერიტორიაზე იქნებიან განიარაღების პროცესის დაწყებიდან მის სრულ დამთავრებამდე, აგრეთვე განიარაღების განხორციელების შემდეგაც, რათა ვერც ერთმა სახელმწიფომ ფარულად ვერ აწარმოოს მზადება ომისათვის. ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ კონტროლის მოცულობა შეესაბამებოდეს განიარაღებისათვის განხორციელებულ ღონისძიებათა ხასიათს.

ჩვენ თანახმა ვართ აგრეთვე დაარსდეს შესაბამისი ორგანოები, ალბათ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით ქმედითი კონტროლის უზრუნველსაყოფად, რათა ყველა სახელმწიფომ, რომელიც იკისრებს განიარაღების წმიდა მოვალეობას, მტკიცედ დაიცვას იგი.

თავის სიტყვაში „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კვირეულის“ დღესასწაულის გამო ბ-ნმა ჰარიმანმა სკეპტიკური დამოკიდებულება გამოთქვა საბჭოთა მთავრობის წინადადებებისადმი. იგი, ეტყობა, ჩვენი წინადადებების ძლიერ შთაბეჭდილებას განიცდის. შინაგანად იგი, ალბათ, ამ წინადადებებს არ ეთანხმება და ამიტომ იკისრა საძრახისი როლი ჭიისა, რომელიც ცდილობს შეარყიოს ნდობა საბჭოთა წინადადებებისადმი.

ის იყო შევუდექით განიარაღების საკითხის განხილვას და სკეპტიკოსებმა პირველ პლანზე წამოაყენეს საკითხი, თუ როგორი საერთაშორისო ძალები უნდა შეიქმნას ეროვნული ძალების ნაცვლად. თუ სტრიქონებს შუა წავიკითხავთ, შეიძლება ითქვას, მხედველობაშია საერთაშორისო ძალების შექმნა, რომლებიც იქმნებიან იმ ქვეყნების გავლენაში, რომელთაც ახლა ბლოკების პოლიტიკის გამო უმეტესობა ჰყავთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ეს ძალიან ჰგავს ნატოს, სეატოს, სენტოს მსგავსი სამხედრო ბლოკების შეკოწიწების პოლიტიკას. ასეთი პოლიტიკა სრულიად არ შეესაბამება განიარაღების ინტერესებს. ჩვენ განიარაღების მომხრენი ვართ, მაგრამ პატიოსანი განიარაღებისა.

თუ ყველა ქვეყანა განიარაღდება, არ ექნება შეიარაღება და არ ეყოლება არმია, ვერავინ ვეღარ დაიწყებს ომს. იბადება კითხვა, მაშ რაღა საჭიროა ზეეროვნული შეიარაღებული ძალები.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ თუ სრული და საყოველთაო განიარაღება განხორციელდა, შეიძლება გამოვნახოთ მორალური ზემოქმედების ძალები, გამოვიყენოთ სხვადასხვა ღონისძიება და სანქცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებით ამა თუ იმ ქვეყნის შიმართ, რომელიც გაბედავს დაიწყოს კონფლიქტი.

ისინი, ვინც საერთაშორისო შეიარაღებული ძალების შექმნას მოითხოვს, ერთ მიზანს ისახავენ — არ მიაღებინონ ქვეყნებს ჩვენი წინადადებანი განიარაღების შესახებ. აღიარებენ რა სიტყვით განიარაღების იდეებს, მათ არსებითად სურთ შეინარჩუნონ ძველი მდგომარეობა, ე. ი. იცხოვრონ თოფისწამლის სარდაფზე, იცხოვრონ ატომური იარაღის გამოყენების შიშში.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ადამიანთა საღი აზრი გაიმარჯვებს. ადრე თუ გვიან, მიღებულ იქნება გონივრული გადაწყვეტილებანი, რომლებიც ხალხებს საშუალებას მისცემენ იცხოვრონ მეგობრულად, ენდონ ერთმანეთს და არ ჩაერიონ სხვა სახელმწიფოთა საქმეებში.

განიარაღების საბჭოთა პროგრამას სახელი რომ გაუტეხონ, ამისათვის მშვიდობის მტრები კიდევ ერთ მანევრს მიმართავენ. ისინი ამტკიცებენ, თითქოს სსრ კავშირის პოზიცია განიარაღების საკითხში ის იყოს, რომ ჩვენ წამოვაყენეთ პრინციპი „ყველაფერი ან არაფერი“, ესე იგი, რომ ჩვენ მოვითხოვთ საყოველთაო და სრულ განიარაღებას და სხვაზე არაფერზე არა ვართ თანახმა. ეს სინამდვილეს არ შეესაბამება.

ჩვენს წინადადებებში შავით თეთრზე წერია, რომ თუ დასავლეთის სახელმწიფოები არ იქნებიან მზად დათანხმდნენ საყოველთაო და სრულ განიარაღებაზე, ჩვენ შესაძლოდ და საჭიროდ მიგვაჩნია შევთანხმდეთ თუნდაც ნაწილობრივ ღონისძიებებზე განიარაღების დარგში. საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ ასეთი ღონისძიებებია: ატომური იარაღის აკრძალვა და უწინარეს ყოვლისა ამ იარაღის გამოცდის შეწყვეტა, კონტროლისა და ინსპექციის ზონის შექმნა და უცხოეთის ჯარების შემცირება ევროპის შესაბამისი ქვეყნების ტერიტორიებზე, უატომო ზონის შექმნა ცენტრალურ ევროპაში, უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია სხვის ტერიტორიებზე, თავდაუსხმელობის პაქტის დადება ნატოს მონაწილე სახელმწიფოებსა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს შორის და სხვ.

რა თქმა უნდა, საბჭოთა მთავრობა მზად არის განიხილოს შესწორებანი და დამატებანი ჩვენი წინადადებებისადმი, ისევე როგორც სხვა წინადადებანი, რომელთა მიზანია განიარაღების პრობლემის გადაჭრა. მაგრამ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ განიარაღების საკითხს ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა და სიმწვავე მიეცა, ამასთან იგი სასწრაფოც არის. მის გადაჭრაზე დამოკიდებულია ხალხთა კეთილდღეობა და უშიშროება, დამოკიდებულია — იყოს ომი თუ მშვიდობა.

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პოლიტიკურ კომიტეტში საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მიღწეული შეთანხმების მეოხებით მოიწონეს წინადადებანი საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ. საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი რეზოლუციის პროექტს ამ საკითხზე მხურვალედ დაუჭირეს მხარი ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა. როგორც თქვენ იცით, ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ამ ერთობლივ პროექტს თანაავტორებად შეუერთდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების დანარჩენი 80 დელეგაცია.

ჩვენ მხურვალედ მივესალმებით ამ ერთსულოვან გადაწყვეტილებას. მაგრამ არ უნდა შეგვაცდინოს მიღწეულმა, რადგან კიდევ არიან ძალები, რომლებიც ყოველ ღონეს იხმარენ, რათა არ დაუშვან, რომ განხორციელდეს რეალური ღონისძიებანი საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის.

არის ქერქიჭამია ჭიები, რომლებიც პირდაპირ როდი წააქცევენ ხეს, რადგან არ ძალუძთ ეს; ისინი ხრავენ მის ქერქს, მასაზრდოებელ წვენს უსპობენ ხეს და ხე ზეზეურად იღუპება. ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწეც ასე შეეცდება ძირი გამოუთხაროს ჩვენს წინადადებებს საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ.

საჭიროა ვამხილოთ განიარაღების მოწინააღმდეგენი, მტკიცე წინააღმდეგობა გავუწიოთ მათ, რათა განხორციელდეს ხალხთა ნათელი იმედები.

ამხანაგო დეპუტატებო! ახლა ცხადია, რომ მსოფლიოს წინაშე მდგომი პრობლემები შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაიჭრას, თუ ვიმოქმედებთ არა ძალის პოზიციიდან, არამედ გონების პოზიციიდან. ეს საკითხები უნდა გადავჭრათ ერთადერთი გონივრული მეთოდის — მოლაპარაკების მეთოდის გზით. მინდა განსაკუთრებით გავუსვა ხაზი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ეიზენჰაუერთან მიღწეულ ურთიერთთანხმობას, რომ ყველა მოუწესრიგებელი საერთაშორისო საკითხი უნდა გადაიჭრას არა ძალის გამოყენების გზით, არამედ მშვიდობიანი საშუალებებით — მოლაპარაკების გზით.

თუ ვილაპარაკებთ მოლაპარაკების მეთოდზე, უპირველესი მნიშვნელობა აქვს მთავრობათა მეთაურების თათბირის მოწვევას. მთავრობათა მეთაურების თათბირის, ანუ, როგორც მას უწოდებენ, უმაღლესი დონის თათბირის მოწვევის საკითხი ჩვენ პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერთან ერთად განვიხილეთ, ამასთან უნდა ვთქვა, რომ ახლა ურთიერთგაგება გვაქვს ამ საკითხში. როგორც ცნობილია, ჩვენი საუბრების შემდეგ პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა განაცხადა, რომ აზრთა გაზიარებამ მოსპო ბევრი მოსაზრება, რომლებიც წინათ იყო უმაღლესი დონის თათბირის მოწვევის წინააღმდეგ. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ბ-ნ მაკმილანს, თავის მხრივ, არაერთხელ განუცხადებია, რომ იგი მთავრობათა მეთაურების თათბირის მოწვევის მომხრეა.

საბჭოთა მთავრობა სავსებით იზიარებს იმ აზრს, რომ სასურველია რაც შეიძლება სწრაფად მოწვეულ იქნას ასეთი თათბირი. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ საკითხში კონსტრუქციულ პოზიციას დაიკავებენ სხვა სახელმწიფოთა მთავრობებიც.

ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწე დასავლეთში ახლა გამოთქვამს აზრს, რომ მთავრობათა მეთაურების თათბირი უნდა მოეწყოს მაშინ, როცა წინასწარ გადაიჭრება მთავარი სადავო საკითხები, და ამტკიცებენ, რომ მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება ეფექტიანი მთავრობათა მეთაურების შეხვედრა. მაგრამ ასე შეუძლიათ იმსჯელონ მხოლოდ იმათ, ვინც არ ითვალისწინებს რეალურ მდგომარეობას ან სურს შეცდომაში შეიყვანოს ადამიანები, რომლებიც ნაკლებად არიან გამოცდილი პოლიტიკაში. ძირითადი საკითხები რომ გადაიჭრას მთავრობათა მეთაურების შეხვედრამდე, მაშინ ეს იქნებოდა შეხვედრა არა მომწიფებული საკითხების გადასაჭრელად, არამედ ერთად სათევზაოდ (მე კი მებადური როდი ვარ — თევზს არ ვიჭერ), კონცერტების მოსასმენად და სხვა, ესე იგი დროის სასიამოვნოდ გასატარებლად.

ცხოვრებას პირდაპირ უნდა ვუყუროთ და რეალურად უნდა გვესმოდეს, სახელდობრ რას მოვითხოვთ მთავრობათა მეთაურების შეხვედრისაგან. ახლა საჭიროა გადაიჭრას მწვავე მომწიფებული საკითხები.

ცნობილია, რომ ზოგიერთი მათგანის განხილვაზე უკვე მუშაობდნენ სახელმწიფოთა წარმომადგენლები საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე და სხვა საერთაშორისო კონფერენციებზე, მაგრამ გადაწყვეტილების გამონახვა ვერ მოხერხდა. უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში საქმე მიდიოდა ვითარების გამწვავებამდე.

მაშ რა ვქნათ? ჩვენ უკვე არაერთხელ გვითქვამს, რომ ყველაზე რთული საერთაშორისო საკითხების გადაჭრა შეუძლიათ მხოლოდ მთავრობათა მეთაურებს, რომლებსაც დიდი რწმუნებანი აქვთ. მარტო მათ ძალუძთ გაწმინდონ დაბრკოლებანი და ის არანორმალობა საერთაშორისო ურთიერთობაში, რაც შეიქმნა „ცივი ომის“ მრავალი წლის მანძილზე. სწორედ ახლა ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროში, როცა საჭიროა მთავრობათა მეთაურების შეხვედრა. და რაც უფრო მალე მოეწყობა ასეთი შეხვედრა, მით უკეთესი იქნება მშვიდობის საქმისათვის.

რა საკითხები უნდა განიხილოს, ჩვენი აზრით, მთავრობათა მეთაურების თათბირმა?

ცხადია, ეს უნდა იყოს სწორედ ის საკითხები, რომელთა გადაუჭრელობა იწვევს ყველაზე დიდ შეშფოთებას მსოფლიოში და ხელს უშლის საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას. უმნიშვნელოვანესი ადგილი უნდა დაიკავოს, რასაკვირველია, განიარაღების საკითხმა, რომელიც მთელ მსოფლიოს აღელვებს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის თათბირმა უნდა განიხილოს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების საკითხი და აქედან გამომდინარე მოწესრიგება მდგომარეობისა დასავლეთ ბერლინში. შეიძლება განხილულ იქნას აგრეთვე სხვა საერთაშორისო საკითხები, რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენენ.

უმაღლეს დონეზე თათბირის წარმატებას ხელს შეუწყობდა ყველა სახელმწიფოს მტკიცე გადაწყვეტილება — არ გამოიყენონ რაიმე ღონისძიებანი, რომლებიც გააუარესებენ ვითარებას თათბირის წინ, გააძლიერებენ უნდობლობას მის მონაწილეთა ურთიერთობაში, დათესავენ ეჭვის თესლს.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი ყოველი ღონისძიებით შეუწყობს ხელს იმას, რომ შემდგომ გაუმჯობესდეს ვითარება უმაღლეს დონეზე თათბირის წინ.

ამხანაგო დეპუტატებო!

საბჭოთა მთავრობას ჩვენი ხალხისა და მთელი კაცობრიობის წინაშე თავის მოვალეობად მიაჩნია განამტკიცოს საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის მიღწეული შენელება, მტკიცედ დაიცვას ის კურსი, რომ შენელებას მოჰყვეს საერთაშორისო დაძაბულობის სრული ლიკვიდაცია, მიღწეული შენელება გადაიქცეს მტკიცე მშვიდობად.

ამ მიზნით საჭიროა:

განვახორციელოთ ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების აქტიური პოლიტიკა;

თანდათანობით მივაღწიოთ იმას, რომ პრაქტიკულად გადაიჭრას ყველა მომწიფებული საერთაშორისო საკითხი, რათა უზრუნველვყოთ ხალხთა მშვიდობიანი ცხოვრება;

არ შევანელოთ სიფხიზლე იმ ძალებისა და წრეების მიმართ, რომლებიც ისწრაფვიან საერთაშორისო მოვლენათა მსვლელობა უკან დააბრუნონ „ცივი ომისა“ და ქვეყნების ურთიერთობის გამწვავების გზაზე. განუწყვეტლივ ვუჩვენებდეთ ხალხებს, რომ უსაფუძვლო, კაცობრიობისათვის საზიანო და დამღუპველია აგრესიული მილიტარისტული წრეების ეს პოზიცია.

თუ ამოქმედდებიან მთელი ძალები, რომლებიც მოითხოვენ საერთაშორისო საკითხების მშვიდობიანად მოწესრიგებას, თუ ხელმძღვანელი წრეები, რომლებიც განსაზღვრავენ დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკას, შეიგნებენ, რომ შეუძლებელია ჩვენს დროში სხვა პოლიტიკის განხორციელება, გარდა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკისა, თუ ხალხები იტყვიან თავიანთ მტკიცე სიტყვას ომის წინააღმდეგ, უკვე უახლოეს ხანში გადაიდგმება გადამწყვეტი ნაბიჯები ომის საფრთხის თავიდან ასაცილებლად და მშვიდობის ნათელი, მკაფიო გზა დაესახება მთელ კაცობრიობას.

საბჭოთა მთავრობა თავის მხრივ ყოველ ღონეს იხმარს ამ დიადი ამოცანის გადასაწყვეტად.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია მოიწონებს საბჭოთა მთავრობის ამ საგარეო-პოლიტიკურ კურსს. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგო დეპუტატებო!

შემდგომი ბრძოლა მშვიდობის განმტკიცებისათვის, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძვლების განმტკიცებისათვის მოითხოვს საბჭოთა კავშირის, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების, ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის დიდ ღონისძიებებს.

საბჭოთა კავშირის, სოციალისტური ქვეყნების თანმიმდევრულ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას სულ უფრო უჭერენ მხარს მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალები. რაც უფრო მტკიცე და შეკავშირებული იქნება სოციალისტური ქვეყნების დიადი ოჯახი, მით უფრო წარმატებით და სწრაფად გადაწყდება მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების ამოცანები.

ჩვენ უდიდესი კმაყოფილების გრძნობით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ყველა ქვეყანა ასე მჭიდროდ დარაზმული არასოდეს არ ყოფილა. ისინი ერთიანი მწყობრით გამოდიან იმ ისტორიული ამოცანის გადასაწყვეტად, რომ გაათავისუფლონ კაცობრიობა ომებისაგან და უზრუნველყონ ხალხთა განვითარება მშვიდობისა და სოციალური პროგრესის გზით.

საბჭოთა ხალხმა სოციალისტური ქვეყნების ყველა ხალხთან ერთად ამას წინათ აღნიშნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელოვანი ათი წლისთავი, პოლონეთში, რუმინეთსა და ბულგარეთში სახალხო ხელისუფლების დამყარების თხუთმეტი წლისთავი. ყველა სოციალისტურ ქვეყანაში წარმატებით შენდება ახალი ცხოვრება.

ამხანაგებო, ნება მიბოძეთ თქვენი სახელით, საბჭოთა ხალხის სახელით ჩვენს ძმებს სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში მხურვალე სალამი გადავცე და ვუსურვო ახალი წარმატებანი სოციალიზმის მშენებლობაში! **(ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა კავშირი მტკიცე რწმენით მიდის წინ, წარმატებით წყვეტს კომუნიზმის მშენებლობის ამოცანებს, რომლებიც დასახა სკკპ XXI კრილობამ. ჩვენი საბჭოთა სამშობლო დიდ აღმავლობას განიცდის. წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით სრულდება შვიდწლედის პირველი წლის გეგმა. უმაღლესი საბჭოს ამ სესიამ განიხილა 1960 წლის შვიდწლედის მეორე წლის სახალხო — სამეურნეო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი.

შვიდწლედის პირველი წელი აღინიშნა ახალი დიდი მიღწევებით მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებით. როგორც თქვენ იცით, მრეწველობამ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა ცხრა თვის სახელმწიფო გეგმა. წინასწარი გამოანგარიშებით წლიურ გეგმას მრეწველობა დაახლოებით 4 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულებს, რაც მოგვცემს 40 მილიარდი მანეთისაზე მეტ ზეგეგმით პროდუქციას. აღმავლობის გზაზეა სოციალისტური სოფლის მეურნეობაც. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმი განიხილავს სახალხო მეურნეობის ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის შემდგომი განვითარების საკითხებს.

ჩვენს ყველა მიღწევაში ყველაზე მთავარი, ყველაზე შესანიშნავი და ყველაზე სასიხარულოა საბჭოთა ხალხის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის, შემოქმედებითი ენთუზიაზმის, კომუნისტური შეგნებულობის, კომუნისტური პარტიის გარშემო მისი მონოლითური დარაზმულობის უმაგალითო ზრდა. ეს ჩვენ მიგვაჩნია ყველა ჩვენი წარმატების წყაროდ, კომუნიზმის სრული გამარჯვების საწინდრად. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ყოველ დღეს მოაქვს სასიხარულო ამბები საბჭოთა ხალხის ახალ და ახალ გამარჯვებათა შესახებ. როგორ არ გავიხაროთ, არ ვიამაყოთ საბჭოთა ადამიანების ისეთი გმირობით, როგორიც არის მარტო 1959 წლის განმავლობაში სამი კოსმოსური რაკეტის წარმატებით გაშვება, რამაც გამოიწვია მთელი კაცობრიობის აღტაცება. მთელი საბჭოთა ხალხი აღიდებს მეცნიერებისა და შრომის ადამიანებს, რომლებმაც გაკაფეს კოსმოსის გზა. **(მჭუხარე ტაში).**

ამ დღეებში ჩვენმა შესანიშნავმა მეცნიერებმა კიდევ ერთი მშვენიერი საჩუქარი უძღვნეს სამშობლოს. ისინი კარგად მოეფერნენ მთვარეს და მთვარემ კეთილი განწყობლება გამოიჩინა მათდამი, ნება დართო გადაეღოთ იმ მხარის ფოტოსურათი, რომელსაც იგი ყოველთვის უმალავდა ადამიანის თვალს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ საბჭოთა მეცნიერებით, რომლებმაც დააჯერეს მთვარე მოეხადა ჩადრი, ეს წარსულის გადმონაშთი. **(სიცილი დარბაზში, ტაში).** საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის განვითარების გავლენით მთვარემ მოიხადა ჩადრი, აჰყვა ჩვენს დროს და თავისი სახე უჩვენა საბჭოთა მეცნიერებს, საბჭოთა ადამიანებს. მათ კი მთელ მსოფლიოს მისცეს საშუალება გაეცნოს ამ ციური მზეთუნახავის უაღრესად ფარულ საიდუმლოებას. რა თქმა უნდა, მთვარის ნებართვით. ჩვენ არა გვჩვეევია შევიხედოთ იქ, სადაც ნება დართული არ არის. **(სიცილი დარბაზში, ტაში).**

ნება მიბოძეთ ამ მაღალი ტრიბუნიდან საბჭოთა მთავრობის სახელით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სახელით, ჩვენი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მხურვალედ მივულოცო გმირ მეცნიერებს ეს სახელოვანი მეცნიერული გმირობა. **(ხანგრძლივი ტაში).**

ნება მიბოძეთ ვუსურვო მათ ახალი წარმატებანი, აღმოჩენები და ასეთივე ბრწყინვალე მიღწევები ჩვენი დიადი ქვეყნის, გამარჯვებული კომუნიზმის ქვეყნის სადიდებლად, მსოფლიოში მშვიდობის გამარჯვებისათვის. **(ხანგრძლივი ტაში).**

ძვირფასო ამხანაგებო! სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია შეიკრიბა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 42-ე წლისთავის წინ. საბჭოთა ხალხი ოქტომბრის სახელოვანი დროშით მტკიცე ნაბიჯით მიდის დიდი ლენინის მიერ ნაჩვენები გზით კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ! **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

გუშინ კრემლში

კრემლის დიდ სასახლეზე ხუთი დღის განმავლობაში ფრიალებდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალამი. აქ მუშაობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია, რომელმაც განიხილა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების დიდმნიშვნელოვანი საკითხები.

31 ოქტომბერს სესიის მუშაობის უკანასკნელ დღეს განხილული იყო საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის საკითხი.

დილის 10 საათიდ. მთავრობის ლოჟებში შემოდიან ამხანაგები **ა. ბ. არიხტოვი, ნ. ი. ბელიაევი, ლ. ი. ბრეჟნევი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. გ. იგნატოვი, ა. ი. კირიჩენკო, ფ. რ. კოზლოვი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, დ. ს. კოროტჩენკო, ი. ე. კალნბერზინი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ვ. პ. მეჟლაუიძე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი.** დამსწრენი მათ მჭუხარე ტაშით ხვდებიან.

თავმჯდომარე — ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ი. ვ. პეიკი კავშირის საბჭოსა** და **ეროვნებათა საბჭოს** გაერთიანებულ სხდომას გახსნილად აცხადებს.

მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, დეპუტატ **ნ. ს. ხრუშჩოვს.** დარბაზში დიდხანს გაისმის მჭუხარე ოვაცია.

ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მკაფიო, შინაარსიანი მოხსენება დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს და მრავალგზის შეწყვეტინეს ტაშით.

* * *

ხანმოკლე შესვენების შემდეგ **კავშირის საბჭოსა** და **ეროვნებათა საბჭოს** გაერთიანებულ სხდომაზე დაიწყო კამათი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ.

სიტყვით გამოვიდნენ სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, დეპუტატი **ა. ნ. ბაკულევი,** ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, დეპუტატი **ვ. ი. კლაუსონი,** მოსკოვის მახარისებელი დეპოს წარჩინებული მემანქანე **ვ. გ. ბლაგენოვი,** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დეპუტატი **ა. ა. გრომიკო,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **გ. ა. ფუკოვი,** მოსკოვის 209-ე საშუალო სკოლის დირექტორი, დეპუტატი **ო. ვ. აბლაზოვა,** მოლდავეთის სსრ ფლორეშტის რაიონის კოლმეურნეობა „ვიაცა ნოუეს“ თავმჯდომარე, დეპუტატი **ე. გ. სოროჩანი,** დეპუტატი მწერალი **ა. ე. კორნეიჩუკი.**

ამით დამთავრდა კამათი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ ერთხმად, ტაშის გრიალით მიიღო დადგენილება ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო. დადგენილებაში მოლიანად და სავსებით მოწონებულია საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკა.

ერთხმად მიიღეს აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა მსოფლიოს ყველა ქვეყნის პარლამენტებისადმი.

თავმჯდომარე იუწყება, რომ სესიის დღის წესრიგის ყველა საკითხი განხილულია და სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიას დახურულად აცხადებს. (საკვლისი).

ფეხგურთი

თბილისელთა ახალი გამარჯვება

კუიბიშევი. 31 ოქტომბერი. დღეს აქ გაიმართა მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ თბილისის „დინამო“ და ადგილობრივი „კრილია სოვეტოვი“.

თამაშის პირველ ტაიმს შედეგი არ მოუცია.

შეჯიბრების მეორე ნახევარში მე-6 წუთზე ჯ. იამახიძე შეიჭრა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე და ოსტატურად მიაწოდა ბურთი ზ. კალოევს, რომელმაც ანგარიში გახსნა